

180
1981 / 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მთავრობის დარბეზინდებთან კრებული

№ 6

ნომერი — ღვეზერი

1981 წ.

11086



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1981 წ.

შინაარსი

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 75. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
- 76. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების 24-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ძალდაკარგულად ჩათვისის თაობაზე.
- 77. საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთლიანად აგრო-სამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 78. ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის შესას-სყიდი ფასების შესახებ.
- 79. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების დებულების დამტკიცების შესახებ.

კ. შარვაშია საბ. საქ. საბ.
საბელნიკო რესპუბლიკის
ცენტრალური კომიტეტი



80. „საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, საშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არღებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული ცვლილებებითა და დამატებებით) გამოყენების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
81. მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ.
82. ზენორმატიულ და გამოყენებულ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ.
83. სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 950 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 მაისის № 332 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.
84. საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
85. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 050 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
87. მოსახლეობაში მინის ტარის შეგროვების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
88. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალების ზარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის დებულების შესახებ.
89. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 951 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილება „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. დაპროექტების შრომატევადობისა და ვადების შემცირების, საპროექტო გადაწყვეტილებათა ეკონომიურობის, დამპროექტებელთა მუშაობის ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით:

ა) საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა და საპროექტო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ყოველწლიურად საპროექტო სამუშაოთა ავტომატიზაციის კომპლექსური პროგრამის შემუშავება და დამტკიცება და აამაღლონ ამ სამუშაოთა დონე მეთერთმეტე ხუთწლედში მათი საერთო მოცულობის 15-20 პროცენტამდე;

ბ) საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყოს საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა ორგანიზაცია კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის, ავტომატიზებული დაპროექტებისათვის, მათ შორის გამოთვლითი კომპლექსებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად და პროგრამის ფონდის საწარმოებლად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ა) დაუწესოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დასაგეგმი პერიოდისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტები მათთვის დამტკიცებული კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების პროცენტულად (საკონკურსო საფუძველზე დაპროექტებისა და დაუმთავრებელ მშენებლობაში საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით), რომლებიც დიფერენცირებულია სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით დარგის თავისებურებათა შესაბამისად.

საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ყოველწლიური ლიმიტების განაწილებისას მაქსიმალურ მოცულობას თავი მოუყაროს რესპუბლიკის ძირითად საპროექტო ინსტიტუტებში;

ბ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით მათი წინა დადებების საფუძველზე საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების გეგმების ხუთწლიანი და წლიური პროექტები.

4. დაწესდეს, რომ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში დამტკიცებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატი-

ტულო სიებს დასამუშავებელი პროექტების ნუსხებში შეტანილი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მიხედვით დამტკიცებენ:

— 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით;

— 1-დან 3 მილიონი მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, — 1 მილიონამდე მანეთი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომები.

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ, შემკვეთებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

ა) მოყოლებული 1982 წლიდან, დადონ ხელშეკრულებანი საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტების შესამუშავებლად დაპროექტების მთელი პერიოდისათვის და დააფინანსონ საპროექტო-საძიებო სამუშაოები განუწყვეტლივ ამ მიზნით აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული თანხების ფარგლებში;

ბ) მიიღონ ზომები საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმების სწორად და დროულად შემუშავებისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, შემუშავებული და მშენებლობაში გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებობა მიიჩნიონ საგეგმო დისციპლინის დარღვევად და უყარაოთობად;

გ) საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების უტყუარობა, ამასთან მისი განსაზღვრის შეცდომები მიიჩნიონ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევად;

დ) დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე საპროექტო-საძიებო ორგანიზაციათა გადასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ ორგანიზაციათა უზრუნველყოფას სატიტულო სიებითა და დაპროექტების საწყისი მონაცემებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 ივნისის № 491 დადგენილებით დაწესებულ ზღვრულ ვადებში;

ე) ობიექტების საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიები, მიუხედავად მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა, დამტკიცებამდე შეუთანხმონ საქართველოს სსრ სახმშენს;

ბ) არ დაუშვან საქვეუწყებო საპროექტო კანტორების, ბიუროებისა და სხვა ძალებით იმ ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება აღემატება საპროექტო კანტორებისა და ბიუროებისათვის დაწესებულ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას;

რებულიების ზღვრულ ოდენობას, აგრეთვე არაპროფილური სამუშაოების მიხედვით.

6. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახანაისა და სსრ კავშირის მშენაანის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა 1982 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მცირე საპროექტო ორგანიზაციათა ქსელის მოწესრიგების შესახებ.

7. საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის გაუმჯობესების და დაპროექტების ხარისხისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დონისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენს განამტკიცონ კვალიფიციური კადრებით განყოფილებანი, რომლებიც ეწევიან საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვას და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზას, აამალონ მათი მუშაობის ეფექტიანობა. საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 იანვრამდე.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საპროექტო-საძიებო ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაძლიერების, მათი საწარმოო და საფინანსო საქმიანობის მოწესრიგების მიზნით 1981 წლის ბოლომდე დაამთავრებს საქვეუწყებო საპროექტო-საძიებო ორგანიზაციათა გადაყვანას დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

9. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1982 წლის 1 იანვრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებები იმ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ, რომელთა სრული ათვისების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონ მანეთზე ნაკლებია.

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ «საქკოლმეურნეშენმა» საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით 1981 წლის 1 დეკემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ.

11. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ



და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეპუბლიკის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები საპროექტო-საძიებო ორგანიზაციათა მუშაობის გასაუმჯობესებლად და პროფესიული ცოდნის დონის ასაშენებლად, ამასთან მხედველობაში იქონიონ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა ისეთი პროექტების შექმნის უზრუნველყოფა, რომლებიც შეესაბამებიან მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს და სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ინტენსიური განვითარების გზაზე საქართველოს სსრ ეკონომიკის გადაყვანის პირობებს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიაძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 10 ნოემბერი, № 789

76 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების 24-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ძალდაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ივლისის № 517 დადგენილების მე-10 პუნქტის მეორე აბზაცის ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 სექტემბრის №867 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩათვალოს 24-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიაძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 10 ნოემბერი, № 801

77 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მოვლისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართ- ვის უამდგომი სრულყოფის უმსახეზ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო გაერთიანებებმა, რომლებიც თავდაპირველად ექსპერიმენტის წესით შეიქმნა ჯერ ერთ (1974 წელს), ხოლო შემდეგ რესპუბლიკის 14 რაიონში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილების შესაბამისად, თავი გამოიჩინეს როგორც კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომელთაც შესწევთ უნარი დამოუკიდებლად გადაწყვიტონ რაიონული მასშტაბით ის ამოცანები, რომ სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელი, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ღონისძიებანი მოხმარდეს საბოლოო ოპტიმალური შედეგის მიღწევას — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

აბაშის, მახარაძისა და ზოგიერთი სხვა რაიონის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პარტიის რაიკომებსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებებზე დაყრდნობით შეუძლიათ წარმატებით დაგეგმონ და გადაწყვიტონ ტერიტორიულ და დარგობრივ ასპექტებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი პერსპექტიული ამოცანები.

ამავე დროს ყველა რაიონში, სადაც შექმნილია სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებანი, საკმარისად როდი იყენებენ მართვის ამ ორგანოთა უპირატესობებს. სუბიექტური მომენტების — ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების არასაკმარისი აქტიურობისა და მომთხოვნელობის — გარდა, ამის მიზეზია სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების შეუთავსებლობა, აგრეთვე რესპუბლიკურ დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის რგოლების მართვის მნიშვნელოვანი დაქსაქსულობა

რაიონული მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, გადამმუშავების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მელიორაციული უზრუნველყოფის, მშენებლობის, სოფლად საქმიანობის სხვა სფეროების რგოლების საუწყებათაშორისო დაქსაქსულობის აღმოფხვრის, რაიონებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის რესპუბლიკურ ორგანოებს შორის უფრო მეტი შესაბამისობის მიღწევის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა უბნის მუშაობის კოორდინაციის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. შეიქმნას რესპუბლიკის ყველა რაიონში, სადაც ჯერ კიდევ შექმნილი, სამეურნეო ანგარიშზე სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებანი მართვის განკერძოებული აპარატით და მოეწყოს მათი უმშაობა სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საერთო პირობების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დებულების შესაბამისად, № 1 დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის რაიონულ (საქალაქო) საწარმოო გაერთიანებათა უფროსები არიან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეები.

2. სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა მართვის განკერძოებული აპარატი შეიქმნას გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წევრი სხვა სამინისტროებისა და უწყებების საერთო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში და ამ მიზნით კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მთიან, მთისწინა და ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ 26 რაიონში სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა განკერძოებული აპარატის შენახვა განხორციელდეს საბიუჯეტო ასიგნებებისა და გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ჩარიცხული სახსრების ხარჯზე, № 2 დანართის თანახმად.

შენარჩუნებულ იქნეს სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებებში თანამდებობრივი სარგოები სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებში მოქმედი ოდენობით იმ თანამდებობებისათვის, რომლებსაც უმცირდებათ ისინი საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების სქემების გამოყენებისას.

საშტატო რიცხოვნობისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ნაწილი, რაც განთავისუფლდება სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა შექმნასთან დაკავშირებით, გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკის სასოფლტექნიკურ-დამხედველობის რაიონული სამსახურების შესანახად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ აგროსამრეწველო კომპლექსის წევრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განსაზღვრონ სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა აპარატების ფორმირებაში მათი მონაწილეობის ღონე.

4. დროებით, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების ახალი დებულების შემუშავებამდე, გავრცელდეს სოფლის მეურნეობის ახალ-შექმნილ რაიონულ საწარმოო გაერთიანებებზე მოქმედება დებულებისა მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ, რომელიც დატკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 აპრილის № 308 დადგენილებით.



5. სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა დამთავრდეს 1982 წლის 1 მარტისათვის.

6. რაიონულ და რესპუბლიკურ დონეზე სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა რგოლების მართვის ფორმების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

— გადაყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამეურნეო ანგარიშზე და მოეწყოს მისი მუშაობა სოფლის მეურნეობაში რესპუბლიკური გაერთიანების პირობების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 მაისის № 395 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ გაერთიანებათა ზოგადი დებულების შესაბამისად;

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და 1982 წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიება ნი მისი აპარატის სტრუქტურისა და ფუნქციონირების სრულყოფისათვის სასოფლო-სამეურნეო შრომის საბოლოო შედეგებით — კრლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში სოფლის მეურნეობების პროდუქტების წარმოების გადიდებითა და მათი ხარისხის გაუმჯობესებით — ყველა ქვედანაყოფისა და თითოეული მისი მუშაეის მაღალი დაინტერესების უზრუნველყოფის მიზნით;

— აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალმა რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გადასინჯონ ტერიტორიული თვალსაზრისით საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ორგანიზაციული სტრუქტურა, იმ ვარაუდით, რომ ადგილებზე მათი მართვის ფორმა მოექცეს ერთ ადმინისტრაციულ რაიონში, ამასთან მაქსიმალურა გამოირიცხოს საკუთარი სარაიონათაშორისო სამსახურებისა და შესაბამისი მმართველობის აპარატების შექმნა და ფუნქციონირება.

გარდაქმნა განხორციელდეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისათვის დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობისა და ზღვრული ასიგნებების ხარჯზე.

7. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა კომპლექსური, გეგმაზომიერი და მიზანდასახული განვითარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მეთაურობით, რომელიც განაგებს სოფლის მეურნეობის საკითხებს, და თა ნამდებობათა მიხედვით საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (რომელიც განაგებს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების საკითხებს); საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის; სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის; საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტი თავმჯდომარის; საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური



სამმართველოს უფროსის; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის; საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის; საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის; საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის; საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის; საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის; საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის; საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის; საქსახსოფლტექნიკის თავმჯდომარის; საქმთავარწყალმშენის უფროსის; ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის; რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობის“ თავმჯდომარის; საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსის; საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსის; საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ უფროსის; საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“ უფროსის შემადგენლობით.

8. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სისტემური, ორგანიზებული მუშაობის უზრუნველსაყოფად;

— დაწესდეს მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა;

— შეიქმნას საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან სამუშაო აპარატი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების უფლებებით აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამინისტროთა და უწყებთათა ცენტრალური აპარატების სამტატო რიცხოვნობის ხარჯზე.

აღნიშნული განყოფილების გამგე ჩაითვალოს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად;

— დაწესდეს, რომ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებანი აგროსამრეწველო კომპლექსის მონაწილეთა საქმიანობის ოპერატიულ საკითხებზე, რაც არ შეეხება სამინისტროთა და უწყებთათა ინტერესებს, რომლებიც ამ კომპლექსის შემადგენლობაში არ შედიან, დადგენილი წესით მათი შეთანხმების შემდეგ ფორმდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს პროექტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთათაშორისო საკო-



ორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — თანამდებობის დაწესებულების შესახებ.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურმა საუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს დებულება საქართველოს რესპუბლიკური საუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შესახებ და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 აპრილამდე.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოახდენს შესაბამის სტრუქტურულ ცვლილებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებებში.

11. საქართველოს კბ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემაჯავალი სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახანძრისა და სსრ კავშირის მშენაწის საქართველოს რესპუბლიკური კანტორების, სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით შეიმუშაონ და 1982 წლის 1 თებერვლამდე დაამტკიცონ შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთობლივი დადგენილებებით სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა ფორმირებისა და ფუნქციონირების დეტალური გეგმები.

12. პასუხისმგებლობა ამ დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარე ყველა გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაციისათვის, აგრეთვე საჭირო ნორმატიული მასალების შემუშავებისათვის დაეკისროს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურ დაუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს.

13. საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილება მ და სოფლის მეურნეობის განყოფილებამ, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურმა საუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებანი დააკომპლექტონ მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტებით, მათ შორის რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა აპარატების მუშაკთა რიცხვიდან, აგრეთვე ამ გაერთიანებათა ხელმძღვანელებად დააწინაურონ პარტიულ-ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის გამოცდილების მქონე კომპენტენტური მუშაკები, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ რაიონულ აქტივს შორის, და წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1982 წლის 1 თებერვლამდე.

14. სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა უფროსე-



ბის თანამდებობათა დასაკავებლად ყველა კანდიდატურის მომზადება ხორციელდეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში სპეციალური პროგრამის მიხედვით.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ და სოფლის მეურნეობის განყოფილებამ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მონაწილეობით კანდიდატურების მომზადების დამთავრების შემდეგ ჩაატაროს კანდიდატთა ატესტაცია ახალ მოვალეობათა შესასრულებლად მათი მზადყოფნის განსაზღვრის მიზნით.

15. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის დარგში.

16. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოსმენილ იქნეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე 1982 წლის მეორე კვარტალში.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 22 დეკემბერი, № 893.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 დეკემბრის № 893 დადგენილების დახართი № 1

ნ უ ს ხ ბ

რესპუბლიკის რაიონებისა, სადაც იქმნება სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებანი

- ქალაქ გავრის ზონა
- ქალაქ ტყიბულის ზონა
- ქალაქ ჭიათურის ზონა
- ადიგენის რაიონი
- ამბროლაურის „
- ასპინძის „
- ახალქალაქის „
- ახალციხის „

ახმეტის	”
ბოგდანოვკის	”
ბორჯომის	”
ვანის	”
გეგეჭკორის	”
გულაუთის	”
გულრიფშის	”
ჯავის	”
ღმანისის	”
ღუშეთის	”
ზესტაფონის	”
ზნაურის	”
ყაზბეგის	”
ქარელის	”
კასპის	”
ყვარლის	”
ქედის	”
ლანჩხუთის	”
ლენინგორის	”
ლენტეხის	”
მაიაკოვსკის	”
მესტიის	”
ონის	”
ორჯონიკიძის	”
ოჩამჩირის	რაიონი
საგარეჯოს	”
სამტრედიის	”
საჩხერის	”
სიღნაღის	”
სოხუმის	”
თელავის	”
თერჯოლის	”
თეთრი წყაროს	”
თიანეთის	”
ხაშურის	”
ხელვაჩაურის	”
ხულოს	”
ცაგერის	”
წალკის	”
წითელწყაროს	”
წულუკიძის	”

ცხაკიას	რაიონი
ცხინვალის	”
ჩოხატაურის	”
ჩხოროწყუს	”
შუახევის	”

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 დეკემბრის № 893 დადგენილების დანართი № 2

ნ უ ს ხ ა

სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებებისა, რომელთა აპარატების შენახვის ხარჯები გაიღება საბიუჯეტო ასიგნებებიდან

ადიგენის	რაიონი
ამბროლაურის	”
ასპინძის	”
ახალქალაქის	”
ბორჯომის	”
ვანის	”
ჯავის	”
დმანისის	”
დუშეთის	”
ზნაურის	”
ყაზბეგის	”
ქედის	”
ლენინგორის	”
ლენტეხის	”
მესტიის	”
ონის	”
ორჯონიკიძის	”
საჩხერის	”
თეთრი წყაროს	”
თიანეთის	”
ხაშურის	”
ხულოს	”
ცაგერის	”
წალკის	”
ცხინვალის	”
შუახევის	”

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

78 ადგილობრივი გაუმჯობესებელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის შესასყიდი ფასების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 751 დადგენილების შესაბამისად და იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 23 დეკემბრის № 914 დადგენილებით 1981 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ხორცის შესასყიდი ფასები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1982 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის შესასყიდი ფასები დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 6 დეკემბრის № 586 დადგენილების პირველი პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 4 დეკემბერი, № 813

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 4 დეკემბრის № 813 დადგენილების დანართი

ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის შესასყიდი ფასების შესახებ

	1 კილოგრამი ცოცხალი წონის ფასი (მან.)
1. უშობელი, ფური და ფურ-კამეჩი, რომლის საშუალო სადღეღამისო წველადობა არის 10 კილოგრამი და მეტი	2,30
2. ნერბი და თხა:	
I ზონაში	2,10
II ზონაში	1,90
III ზონაში	1,80

შენიშვნა: დეკეულისა და ფურზაქის შესასყიდი ფასები განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**



79 საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების დებულების დაამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 4 დეკემბერი, № 814

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 4 დეკემბრის № 814
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 123-ვლ დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემიების ტიპობრივი დებულების შესაბამისად.

დებულება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებით — წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, მეღვინეობის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა



დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გაერთიანების მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ ამ მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების დონის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

4. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულება დადებული (შესასრულებლად მიღებული) ხელშეკრულებების შესაბამისად გათვალისწინებული ოდენობით, ნომენკლატურით და ვადებში. პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები ჩამოერთმევათ მთლიანად ან ნაწილობრივ. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, ხელშეკრულებათა შესაბამისად, მისი მიწოდების გეგმის შეუსრულებლობის ზღვრული პროცენტები, როცა მუშაკებს მთლიანად ჩამოერთმევათ პრემიები, დამტკიცდება ყოველწლიურად საქვეუწყებო საწარმოების მიხედვით ამ პროცენტების საშუალო სიდიდის გათვალისწინებით. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულება ხელშეკრულებათა მიხედვით მიწოდების გათვალისწინებით შეფასდება საქვეუწყებო საწარმოების მიერ ამ მაჩვენებლის დავალებათა შესრულების კვალობაზე (სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ფორმა № 1-ბ).

თუ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმაორესრულება მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით ზღვრულ პროცენტზე ნაკლებია, პრემიები შემცირდება სკალის მიხედვით, № 2 დანართის თანახმად.

II. პრემირების წყაროები და პრემიების ოდენობა

5. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება ხორციელდება მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც იქმნება აღნიშნული გაერთიანების მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში.

პრემირების სახსრები გამოიყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით (მთლიანად გაერთიანებაში მატერიალური წახალისების საერთო ფონდის პროცენტულად).

6. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების ოდენობა დაწესდება ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მოცემულ წელს დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად. პრემირებას არ შეიძლება მოხმარდეს სახსრები, რომლებიც დამტკიცებული ნორმატივის შესაბამისად უნდა გამოე-

ყენებინათ ამ მიზნით წინა წელს, მაგრამ არ დაუხარჯავთ დაწესებული მწვერულებლების მიხედვით დავალებათა და პრემიების პირობების შეუსრულებლობის გამო.

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელ მუშაკათათვის პრემიების ოდენობას დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

გაერთიანების ცენტრალური აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემიების ოდენობას დააწესებს გაერთიანების ხელმძღვანელი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის პრემიების ოდენობის დაწესებისას გათვალისწინებულია საგეგმო მაჩვენებლების დაძაბულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერჯის ეკონომია.

პრემიების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის ოდენობა განისაზღვრება გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის დამატებით შემოსული (დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით) სახსრების ფარგლებში.

7. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები შემცირდება დარიცხული თანხის 1 პროცენტით გაერთიანების საქვეუწყებო ყოველი იმ საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია დავალებანი მისთვის დაწესებული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით და პრემიების პირობები (რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, მოგება, შრომის ნაყოფიერების ზრდა).

ასეთივე წესით საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელს შეუძლია შეუმციროს პრემიის ოდენობა ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საწარმოებმა შეასრულონ საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით მათთვის დაწესებული დავალებანი.

გეგმის შესრულების ფაქტიური დონის შესაბამისად შემცირების მხრივ მისი კორექტირებისას გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკებს ჩამოერთმევათ სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის კუთვნილი პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არანაკლებ 50 პროცენტისა.

8. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს მთლიანად გაერთიანების ხაზით წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით გამოანგარიშებულ შრომის ნაყოფიერების ზრდას, გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად დარიცხული პრემიების ოდენო-

ბა შემცირდება 1 პროცენტით (პუნქტით) შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით საშუალო ხელფასის ზრდის ყოველ პროცენტში.

9. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაეებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის, დარიცხული პრემიები არ მიეცემათ. ამასთან გაერთიანების ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც გაერთიანების საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის (ეკონომიის) თანხა.

თუ გაერთიანების ხაზით დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება ექვს თვემდე ვადაში, აღნიშნულ მუშაეებს მიეცემათ მათთვის დარიცხული, მაგრამ ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით გაუცემელი პრემიის 50 პროცენტი.

იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხაზით დაშვებულია ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დამდეგიდან გასულ პერიოდში მიღწეულია საქმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად, მმართველობის აპარატის მუშაეებს დარიცხული პრემიები მიეცემათ მთლიანად.

ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებელ პირებს მიეკუთვნებიან მუშაეები, რომელთა თანამდებობები ჩამოთვლილია № 3 დანართში.

10. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაეთა პრემირება ხდება ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება ამ დებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაწესებული პრემირების ძირითადი მაჩვენებლების დავალებანი. ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია, რომელიც უნდა გაიცეს წლის შედეგების მიხედვით, შემცირდება 50 პროცენტამდე.

11. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაეები შეიძლება პრემირებულ იქნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. პრემიები ამ დავალებათა შესრულებისათვის გაიცემა იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოყოფილია გაერთიანების უფროსის განკარგულებაში მუშაეთა პრემირებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილს № 1002 და 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებათა შესაბამისად. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის პრემიის ოდენობა ერთ მუშაეზე არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

გაერთიანების ხელმძღვანელს შეუძლია მიიღოს ერთდროული პრემიები (წელიწადში ერთი თვის სარგოს ოდენობით) გაერთიანების მუშაეებს, რომლებ-

მაც უზრუნველყვეს შჩეკინოელთა მუშაობის მეთოდის წარმატებით დანერგვასა და საქვეუწყებო საწარმოებში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია სიათა (თანამდებობათა) შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდება.

12. ამ დებულების მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს სამი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

111. ზოგადი დებულებანი

13. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ მუშაკებისათვის პრემიების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

14. მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ თანამდებობრივ სარგოზე ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

15. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში შესვლასთან, პენსიაზე გადასვლასთან, შტატების შემცირებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

16. პრემიებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის დაამტკიცებს:

— საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ დანარჩენი მუშაკებისათვის — გაერთიანების ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის დაამტკიცებს გაერთიანების ხელმძღვანელი, ხოლო გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკთათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

17. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია გაადიდოს ამ დებულების მე-12 პუნქტში აღნიშნული საერთო ოდენობის ფარგლებში ან შეამციროს მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა.

მუშაობაში არსებული ხარვეზებისათვის საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ.

ცალკეულ მუშაკებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემია ანგარიშგების წამატებისა და დამახინჯებისათვის (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავ-



შირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 მაისის № 440 დადგენილება; სსრკავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 20 თებერვლის № 153 დადგენილების მე-5 პუნქტი; სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1975 წლის 8 აგვისტოს № 13/19 განმარტება).

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობას გააღიღებს (შემამცირებს) ან პრემიას ჩამოართმევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

18. ამ დებულების მე-5 და მე-10 პუნქტების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავეის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

19. ერთი ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკისა და მოსამსახურისათვის მიცემული პრემიის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს თვეზე გაანგარიშებით თანამდებობრივი სარგოს 25 პროცენტს.

*
*
*

ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის, საზღვარგარეთ გასაყიდად საბჭოთა გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ლიცენზიების დასაპატენტებლად და მოსამზადებლად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ მუშაკებს პრემიები სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით, აგრეთვე გასამრჯელო წლიური მუშაობის საერთო შედეგებისათვის არ მიეცემათ.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 814 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების დებულების დანართი № 1

ნ უ ს ს ა

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების მაჩვენებლებისა და პირობებისა

თანამდებობის დასახელება	პრემიების მაჩვენებლებისა და პირობების დასახელება
<p>საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი, გაერთიანების უფროსის მოადგილეები, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი</p> <p>საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი, გაერთიანების უფროსის მოადგილეები, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი</p>	<p>პრემიების ძირითადი მაჩვენებლები</p> <p>დამტკიცებული მაჩვენებლის მიხედვით გამოაწარმებული შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის, მოგების გემის შესრულება; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ძირითადი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის პროგრამებში, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის გეგმაში გათვალისწინებული ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის გეგმის, უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის პროდუქციის (ღვინო-საღებო, არაყი და ლიქიორ-არაყის ნაწარმი, ვთილის სპირტი საკვები ნედლეულისაგან, შამპანური, კონიაკი, ყურძნის ღვინო, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სამარაგო ნაწილები, თუჯის სხმული) წარმოების გეგმის შესრულება.</p> <p>პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულება.</p> <p>შრომის ნაყოფიერების ზრდის კვარტალური გემის გადაჭარბებით შესრულება.</p> <p>მოგების კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულება.</p> <p>პრემიების დამატებითი პირობები</p> <p>კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმის შესრულება, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება და ათვისება დაწესებულ ვადებში, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის, არამწარმოებლური ხარჯების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის შემცირება და ა. შ.</p>

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1981 წლის 4 დეკემბრის № 814 დად-
 გენილებით დამტკიცებული საქართვე-
 ლოს სსრ სამრეწველო გაერთიანება
 „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის
 მუშაკთა პრემიების დებულების და-
 ნართი № 2

ს კ ა ლ ა

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ მუშაკთათვის პრემიების ოდენობის შემცირებისა პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმაშესრულებასათვის

მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმაშესრულების პროცენტი	პრემიის ოდენობის შემცირების სკალა (პროცენტი)
1-მდე	8
1-დან 2-მდე	16
2-დან 3-მდე	25
3-დან 4-მდე	35
4-დან 5-მდე	50
5-ზე მეტი	პრემია არ გაიცემა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული ცვლილებებითა და დამატებებით).

2. ამ ინსტრუქციის მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აპრილის № 262 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 4 დეკემბერი. № 818.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 4 დეკემბრის № 818
დადგენილებით

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

„საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული ცვლილებებითა და დამატებებით) გამოყენების წესის თაობაზე.

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად ადგილობრივ საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში ჩაბმულია ქალაქად და სოფლად არსებული ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია მათი დაქვემდებარების მიუხედავად.

ამ ბრძანებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში სავალდებულოა და იგი არ ანაზღაურდება.

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა, რეკონსტრუქციასა, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში არ მონაწილეობენ:

ა) სასწავლებლები, ადმინისტრაციული, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან;

ბ) სანახაობითი დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა);

გ) ორგანიზაციები, რომლებიც საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ექსპლუატაციას ახორციელებენ;

დ) საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები და საბინაო-სამმართველოები;

ე) სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახდაზღვევის დაწესებულებანი.

საქვეუწყებო, საზოგადოებრივი და საბიუჯეტო ორგანიზაციების, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახდაზღვევის დაწესებულებათა დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, მონაწილეობენ საგზაო სამუშაოებში დადგენილი წესით.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს (ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს მეშვეობით რესპუბლიკური დაქვემდებარების ოთხ ქალაქში თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში) უფლება ეძლევათ, გამონაკლის შემთხვევებში, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი შუამდგომლობით, შეუცვალონ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობა ფულადი შესატანით, შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით. ამასთან, თუ სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა სახელმწიფო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, დამამზადებელი, სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების გარდა) ამ სამუშაოებში მონაწილეობენ ფულადი შესატანის გზით, ამ მიზნებისათვის დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების მოცულობის 0,3 პროცენტს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილე თითოეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის მოცულობა წელიწადში განისაზღვრება:

ა) კოლმეურნეობებისათვის — კოლმეურნეობის ყოველი შრომისუნარიანი წევრის გამომუშავების ორიდან ოთხამდე დღიური ნორმისა და სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი კოლმეურნეობის კუთვნილი თითოეული სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის, ცოცხალი გამწვევი ძალის ყოველ ერთეულზე გამომუშავების ოთხი დღიური ნორმის მიხედვით. გამომუშავების დღიური ნორმების კონკრეტულ რაოდენობას აწესებენ სახალხო დებუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის გათვალისწინებით;

ბ) საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმით;

გ) სატყეო-სამრეწველო მეურნეობების, საქსახსოფლტექნიკის რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის (გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციებისა) — სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმით, მაგრამ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწვევი მომსახურების მოცულობის არანაკლებ 0,3 პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წლიური წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწვევი მომსახურების ის ნაწილი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს საგზაო სამუშაოებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტისა და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავე დროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება შეასრულონ ეს ნაწილი თავიანთი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ ადგილობრივ საგზაო ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე განსხვავება დაფარონ ფულადი შესატანით;

დ) სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის — წლიური ბრუნვის 0,02 პროცენტის ოდენობით (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად);

ე) იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ტრანსპორტი და მექანიზმები — პროდუქციის წლიური წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწვევი მომსახურების 0,3 პროცენტის ოდენობით.

საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწვევი მომსახურების წლიური მოცულობები განისაზღვრება მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის საერთო პროდუქციის, საკუთარი ძალებით შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისაგან მიღებული საერთო შემოსავლის ოდენობიდან და ა. შ.

მესამე პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სატარიტო ავტომობილებს განეკუთვნება აგრეთვე ყველა სახის ავტოციკლტრანზპორტი, სპეციალური ძარიანი ავტომობილები, ავტოამწეები, ამწემტვირთავები, მათ შორის როგორც მუხლუხიანი, ასევე პნევმატიკური.

ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობა გამოითვლება გაერთიანებების, კომბინატების, ტრესტების, ფირმებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი ძირითადი საქმიანობის მოცულობის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც ასახულია დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი მათდამი დაქვემდებარებული საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითად წლიურ მოცულობაში;

ვ) ენერგეტიკული საწარმოებისათვის (თბოელექტროცენტრალები, თბოელექტროსადგურები, ჰიდროელექტროსადგურები) მათი სერთო პროდუქციის წლიური მოცულობის მიხედვით (მათ მიერ წელიწადში გამოიმუშავებული ელექტრო და თბოენერჯის გასაცემი ფასებით);

ზ) მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (მათ შორის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციებისათვის) — წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად) 0,02 პროცენტის ოდენობით;

თ) საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს პურის მიმღები საწარმოებისათვის (პურის მიმღები პუნქტები, სარეალიზაციო ბაზები, ელევატორები, პურის ბაზები) — წლიური კომპლექსური ტვირთბრუნვის მიხედვით განგარიშებულ ერთიან გასაცემ საანგარიშო ფასებში, ხოლო ამ სამინისტროს გაერთიანებული მეურნეობებისათვის — სერთო პროდუქციისა და კომპლექსური ტვირთბრუნვის მიხედვით განგარიშებულ ერთიან გასაცემ საანგარიშო ფასებში.

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოების მოცულობა მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის განისაზღვრება მათთვის დაგეგმილი როგორც სასაწყობო, ისე სატრანზიტო საქონელბრუნვიდან, რომელიც ანგარიშსწორებაში მონაწილეობს, ამასთან მხედველობაში არ მიიღება ის სატრანზიტო საქონელბრუნვა, რომელიც ანგარიშსწორების გარეშე ხორციელდება და რომლის მიხედვითაც არ არის დადგენილი ფასდანიშნები, საბითუმო-გამსაღებელი ან სავაჭრო ფასამოკლება, აგრეთვე საბითუმო ბაზებში საქონლის შიდასასისტემო გაცემა.

სამომხმარებლო კოოპერაციისა და საქალაქო კოოპერაციული სავაჭროებისათვის საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტისა და მოვლა-პატრონობაში მუშაობის მოცულობა განისაზღვრება:

სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის — წლიური საცალო საქონელბრუნვიდან (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად);

დამამზადებელ-გამსაღებელი ბაზებისათვის და რაიონულ დამამზადებელი კანტონებისათვის (საწესდებო) — მათ მიერ შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წლიური ბრუნვიდან;

რაიონული სამომხმარებლო კავშირებისა და საქალაქო კოოპერაციის საავტოროებისათვის — მათი საავტორო ქსელის წლიური საცალო საქონელბრუნვიდან (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლევად).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოები და ორგანიზაციები მათდამი დაქვემდებარებული საქვეუწყებო ორგანიზაციების მეშვეობით ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც მათ საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ანგარიშსწორების ან სხვა სახის ანგარიში არა აქვთ გახსნილი და მიუხედავად ამისა, ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ — მათი ძირითადი საქმიანობის იმ ნაწილის ოდენობით, რასაც ისინი ამ ქალაქებში ან რაიონებში ასრულებენ. მაშინ ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან ცნობა მათი საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (გაცემული სახალხო დებუტატთა შესაბამისი რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ) დროულად წარუდგინონ სახალხო დებუტატთა იმ რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასკომს, სადაც ისინი ძირითადად მოღვაწეობენ და საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ანგარიშსწორების ან სხვა სახის ანგარიში აქვთ გახსნილი, რათა განთავისუფლებულ იქნენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან იმ ნაწილის გამოკლებით, რაც წარმოდგენილ ცნობაში იქნება ასახული. თუ ორგანიზაცია ასეთ ცნობებს ვერ წარადგენს, მაშინ იგი მონაწილეობს ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში თავისი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობით იმ ქალაქსა და რაიონში, სადაც ის დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფება.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შედის ის საგზაო სამუშაოები, რომლებსაც შეასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათი კუთვნილი შიდასამეურნეო, საუწყებო გზების ან დადგენილი წესით მათთვის მიჩენილი ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობისათვის.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-5 მუხლის თანახმად საგზაო სამუშაოთა შესასრულებლად ყველა მექანიზმს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებასა და გამწვევ ძალას მძღოლებთან, მოსამსახურე პერსონალთან და დასატვირთ-გადმოსატვირთი სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელთან ერთად გამოყოფენ საწარმოები და ორგანიზაციები და უზრუნველყოფენ საწვავით, საზეთავი და სხვა მასალებით საკუთარი ფონდებიდან და თავიანთ ხარჯზე.

ადგილობრივი საავტომობილო გზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები უნდა გახზორციელდეს სამეურნეო ან საიჯარო წესით მათთვის დადგენილი სამუშაოების მოცულობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში, ამასთან, როგორც წესი, უნდა შესრულდეს სამუშაოების მთელი კომ-

პლექსი გზის მონაკვეთის, ხიდისა და სხვა ობიექტების მშენებლობა ან რეკონსტრუქციის მოსტი.

სასაღხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და ადგილობრივ საგზაო ორგანოებს შეუძლიათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს და სამეურნეო ორგანიზაციებს დაუდგინონ მათთან შეთანხმებით ცალკეული სახის საგზაო სამუშაოების დავალებათა შესრულება მათი საწარმოო პროფილის გათვალისწინებით (მიწის სამუშაოები, მასალების დამზადება და გადამუშავება, სატრანსპორტო სამუშაოები, სამშენებლო სამუშაოები და სხვა) მათთვის დამტკიცებული საგზაო სამუშაოების საერთო მოცულობის ფარგლებში.

სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან მისასვლელი საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი და მოვლა-პატრონობა და ასევე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო-სამრეწველო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების შიდასამეურნეო საავტომობილო გზების მშენებლობას, რეკონსტრუქციას, რემონტსა და მოვლა-პატრონობას ახორციელებენ იგივე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი სახსრებით. ეს სამუშაოები არ შეიტანება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობაში.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-6 მუხლის შესაბამისად საგზაო სამუშაოებში სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობის ძირითადი ფორმებია:

ა) კოლმეურნეობებში — მუდმივი საგზაო ბრიგადები;
 ბ) საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში — მუდმივი მექანიზებული რაზმები ან ბრიგადები საგზაო სამუშაოთა მათთვის დაწესებული მოცულობისა და იმ მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

7. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის წლიური გეგმის სამუშაოების მოცულობა გამოითვლება:

ა) კოლმეურნეობებისათვის — შრომისუნარიანი წევრების, სატვირთო ავტომობილების, სხვა სახეობის ტრანსპორტის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმების, აგრეთვე ცოცხალი გამწვევი ძალის რაოდენობის მიხედვით, რომელიც დადგენილ უნდა იქნეს ადგილობრივი სტატისტიკური და საგეგმო ორგანოების მონაცემების საფუძველზე;

ბ) საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის რაოდენობის მიხედვით, რაც დადგინდება ადგილობრივი სტატისტიკური, საგეგმო და ზემდგომი ორგანოების მონაცემების საფუძველზე;



გ) სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებში და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის — მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანებისა და მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, აგრეთვე მათი პროდუქციის წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების წლიური მოცულობის მიხედვით, რაც დადგენილ უნდა იქნეს ადგილობრივი სტატისტიკური, საგეგმო და ზემდგომი ორგანოების მონაცემების საფუძველზე.

8. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოების წლიური მოცულობის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოიმუშავების ერთი დღიური ნორმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება:

— კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრისათვის — მე-3 თანრიგის მშენებელი მუშის ხელფასის დღიური სანარდო-სატარიფო განაკვეთის ოდენობით;

— ცოცხალი გამწევი ძალისათვის — რესპუბლიკის რაიონებში მოქმედი ცხენდღის ან საქონელდღის ღირებულების მიხედვით;

ყველა სახის სატვირთო ავტომობილებისა და მექანიზმებისათვის — მანქანაცვლის ღირებულების მიხედვით, რომელიც სსრ კავშირის სახმშენის მიერ არის დადგენილი მანქანების სახეობათა შესაბამისად;

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-7 მუხლის შესაბამისად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის წლიურ გეგმებს თითოეული რაიონისათვის ადგენენ სახალხო დებუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები, უთანხმებენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს და ამტკიცებენ შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასკომი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებული გეგმების საფუძველზე ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციას ეცნობება წლიური დაეალება, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების ადგილს, მოცულობასა და ვადებს, შესატანი თანხების ოდენობასა და მათი გადახდის წესებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ეს დაეალებანი შეაქვთ თავიანთ წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებში.

შეთანხმებული წლიური გეგმები რაიონების მიერ, როგორც წესი, იგზავნება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში, სადაც მათი საბოლოო დამუშავებისა და მიღებული საგეგმო მაჩვენებლების საფუძველზე ხდება რესპუბლიკისათვის ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა, რემონტისა და მოვლა-პატრონობის საანგარიშო წლის

გეგმის შედგენა, რასაც შემდგომში ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

წლიური გეგმები წლიურ სამუშაოთა მოცულობიდან (რომელიც წინასწარ არის გაანგარიშებული ფულადი მაჩვენებლებით) გადაანგარიშებულ უნდა იქნეს სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ კონკრეტულად მითითებული ფიზიკურად შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა, რომელიც ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული და რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მათთვის დამტკიცებულ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის მოცულობის ფარგლებს.

ამასთანავე გეგმების შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების კონცენტრაცია უმნიშვნელოვანესი ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის.

დამტკიცებული გეგმების საფუძველზე ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციას ეცნობება კვარტალურად დანაწილებული წლიური გეგმა-დავლება, სადაც მითითებულ უნდა იქნეს შესასრულებელი სამუშაოს ადგილი, მოცულობა და ვადები.

საგზაო სამუშაოებში მონაწილე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებული არიან გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯებით შესასრულებელი სამუშაოები შეასრულონ დადგენილ ვადებში დროულად და ხარისხიანად, ხოლო იმ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც მონაწილეობენ ფულადი შესატანით, დროულად და შეუფერხებლად აწარმოონ მათთვის მიცემული გეგმების თანახმად თანხების ჩარიცხვა საგზაო ორგანიზაციების სპეციალურ ანგარიშზე საანგარიშო წლის ყოველი კვარტალის პირველი თვის 20 რიცხვამდე.

10. ადგილობრივ საავტომობილო გზებზე იმ სამუშაოთა ტექნიკური მეთვალყურეობა, კონტროლი და მიღება, რომლებიც სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, ხორციელდება სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, ადგილობრივი საგზაო ორგანოებისა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ.

11. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა ევალებათ შესაბამისი რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების ღირებულება შედის ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებაში და საპროექტო ორგანიზაციებს გადაერიცხებათ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო

საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით ან საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს მიერ.

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნეს იმ მშენებელი ორგანიზაციის ნორმების, შეფასებისა და ნორმატივების გათვალისწინებით, ვინც ამ სამუშაოებს ასრულებს.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები გადასცემენ შესასრულებლად მათთვის განსაზღვრულ საგზაო სამუშაოთა მოცულობას საავტომობილო გზების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საგზაო ორგანიზაციებს და ასევე საწარმო-საგზაო უბნებს, ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს ამ ორგანიზაციებთან პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებით.

13. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტების მიღება წარმოებს დადგენილი წესით.

დაუმთავრებელი სამუშაოები ან ხარვეზები, რომლებიც აღმოჩნდება შესრულებული სამუშაოს ან მთლიანად ობიექტის ჩაბარებისას, მიღების აქტით დადგენილ ვადაში უნდა აღმოფხვრას სამუშაოების შემსრულებელმა ორგანიზაციამ.

14. იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათთვის დადგენილი საგზაო სამუშაოების კომპლექსის ანგარიშში ასრულებენ ცალკეული სახეობის სამუშაოებს და ამისათვის გამოყოფენ სამშენებლო მანქანებს, მაშინ ამ მანქანებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება გამოშვებების ნორმებისა და მანქანა-ცვლების ღირებულების მიხედვით, რაც შესაბამისი სახეობის მანქანებისათვის არის დადგენილი სსრ კავშირის სახმშენის მიერ.

15. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მათთვის დადგენილი სამუშაოების გადაცემა საიჯარო წესით შემკვეთს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან აღნიშნულ დავალებათა დროულად, მთლიანად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

16. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის მიმდინარე წლის შეუსრულებელი გეგმა-დავალება მომავალ წელს უნდა შესრულდეს იმ გეგმა-დავალების გადამეტებით, რომელიც ამ წლისათვის არის დადგენილი.

17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-9 მუხლის შესაბამისად მოწყობილობის, საშენი მასალის, იარაღისა და ინვენტარის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად, კვალიფიციური მუშახელისათვის ხელფასის მისაცემად და სხვა ხარჯებისათვის, რაც საჭიროა იმ საგზაო სამუშაოების ორგანიზებისათვის, რომლებიც

სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო-ტრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით, შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტებში ყოველწლიურად გამოიყოფა ფულადი სახსრები აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არა უმეტეს 20 პროცენტის ოდენობით.

18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-10 მუხლის შესაბამისად საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სტრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს სახალხო დებუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით უდავო წესით გადახდებთან მათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (ფულადი შესატანის) 50 პროცენტი, ხოლო მათ ხელმძღვანელებს დაეკისრებათ ჯარიმა 30-დან 50 მანეთამდე.

ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აღნიშნულ თანხებს უდავო წესით გადახდევინებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველო.

ამ მუხლში აღნიშნული თანხების გადახდა მათ არ ათავისუფლებს საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის დაწესებული დავალების შესრულებისაგან.

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-11 მუხლის შესაბამისად საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის გადახდევინებული ფულადი სახსრები აგრეთვე თანხა, რომელიც შეტანილია საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის სანაცვლოდ, ჩაირიცხება: რაიონებში — ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი) — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს სპეციალურ ანგარიშზე და დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, რემონტსა და მოვლა-პატრონობაზე იმ ფულად ასიგნებათა დამატებით, რომლებიც ბიუჯეტით გათვალისწინებულია საგზაო სამუშაოებისათვის.

აღნიშნული თანხების გადაწილება რაიონებს შორის ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოთა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით, განხორციელდება იმ წესით, რომელსაც დაადგენს საქართველოს ასრ მინისტრთა საბჭო.

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-12 მუხლის შესაბამისად სახალხო დებუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-

ქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო-სამშენებლო ტექნიკის შესაძენად, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების, მუდმივი ტიპის საცხოვრებელი სახლების ასაგებად და საპროექტო-საკვლევი სამუშაოების ასანაზღაურებლად შეიძლება დაიხარჯოს ამ ინსტრუქციის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების არაუმეტეს 20 პროცენტისა. ამავე თანხებიდან საბრუნავ სახსრებს დაწესებული ნორმატივების ფარგლებში გამოუყოფენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს იმ მოიჯარე საგზაო-სამშენებლო და ხიდების სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოებს.

21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-13 მუხლის შესაბამისად წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩაირიცხვლია საგზაო ორგანიზების სპეციალურ ანგარიშზე, თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას ინარჩუნებენ მომდევნო წელსაც.

81 მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ

„მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წარმოდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად 1982 წლის 15 მარტამდე სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მიზნით ნაგებობათა შეფასებითი ნორმები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებმა სოფლად და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზებმა ქალაქად უზრუნველყონ 1982 წლის 1 დეკემბრამდე მოქალაქეთა კუთვნილი ნაგებობების შეფასება ახალი შეფასებითი ნორმების მიხედვით.



2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილებით „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ დააწესა:

— სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მიზნით ნაგებობათა ღირებულების გამოანგარიშება (შეფასება) ხდება შეფასებითი ნორმების მიხედვით, ნაგებობათა ცვეთის გათვალისწინებით.

სოფლად ნაგებობათა შესაფასებლად შეფასებით ნორმებს შეიმუშავენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები, ხოლო ქალაქად — კომუნალური მეურნეობის ორგანოები მოცემული ადგილისათვის ტიპური ნაგებობებისათვის მათი ღირებულების შესაბამისად, რომელიც გამოანგარიშება საშენ მასალათა სახელმწიფო საცალო ფასების, მათი გადაზიდვის ტარიფებისა და მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის განაკვეთების მიხედვით;

— სოფლად ნაგებობათა შეფასებას ახდენენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები, ხოლო ქალაქად — კომუნალური მეურნეობის ორგანოები.

შეფასება ხდება დამზღვევის ან მისი ოჯახის (კოლმეურნე კომლის) სრულწლოვანი წევრის სავალდებულო მონაწილეობით, ხოლო სოფლად, გარდა ამისა, სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით და ამტკიცებს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ნაგებობათა გადაფასება ხდება 5 წელიწადში ერთხელ მაინც;

— შეფასებითი ნორმების შემუშავებისა და ნაგებობათა შეფასების განხორციელების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო;

— განადგურებულ ან დაზიანებულ ნაგებობათა, დაღუპულ, განადგურებულ ან დაკლულ ცხოველთა სადაზღვევო საზღაურის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების მე-18 მუხლის შესაბამისად შედგენილი აქტების გარდა იყენებენ შინაგან საქმეთა, სოფლის მეურნეობის, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურისა და სხვა კომპეტენტური ორგანოების დასკვნებს. ეს ორგანოები სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების მოთხოვნით მისცემენ მათ საჭირო დოკუმენტებს ქონების დაღუპვის ან დაზიანების ადგილის, დროისა და მიზეზის, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სადაზღვევო საზღაურის გაცემის საკითხის გადასაწყვეტად;

— სადაზღვევო გადასახდელთა ანარიცხების შემდგომი ოდენობა:

მოქალაქეთა კუთვნილი ნაგებობების და სხვა ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად — 4 პროცენტი;

მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის განსახორციელებლად და იმ პირთა წასახალისებლად, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს საზოგადოებრივ საწყისებზე დაზღვევის განხორციელებას — 0,5 პროცენტი;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 სექტემბრის № 539 დადგენილებით დამტკიცებული იმ არაცენტრალიზებული წყაროების ნუსხის მე-14 პუნქტში, რომელთა სახსრები, მოყოლებული 1981 წლიდან, ხმარდება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, სიტყვები: „სსრ კავშირის 1940 წლის 4 აპრილის კანონი „სავალდებულო სარგოული დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის 1960 წლის 7 მაისის კანონის რედაქციით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით შეტანილ ცვლილებათა გათვალისწინებით“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულება „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“;

— ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1983 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის შემდეგი გადაწყვეტილებანი:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 24 ივლისის № 573 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1946 წლის 21 ივნისს „სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დამზღვევი ორგანოების მიერ პირუტყვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის კანონის დარღვევის თაობაზე“ მიღებული № 1302 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 მაისის № 526 დადგენილებისა „კოლმეურნეობათა ბალანსებიდან დაღუპული დაზღვეული პირუტყვის ღირებულების ჩამოწერის წესის დარღვევის შესახებ“;

— მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 26 სექტემბრის № 567 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 მაისის № 323 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

82 ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ თა რეალიზაციის წესის შესახებ

„ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 31 ივლისის № 732 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 31 ივლისის № 732 დადგენილება „ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ“ (თან ერთვის).

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმომარაგებას წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილების წესის შესახებ 1982 წლის იანვარში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 ნოემბრის № 1525 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დაუდგმელი მოწყობილობის რემონტისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესახებ“;

— მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებისა „უდედამოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების ზომების შესახებ“;

— მე-11 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 615 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 492 დადგენილება „მარავიდან სამეურნეო ბრუნვაში მატერიალურ ფასეულობათა მოქცევისა და მათი ბრუნვალობის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

1981 წლის 31 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

წინორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 მარტის № 229 დადგენილებასთან — „სსრ კავშირის კანონთა წიგნის საკითხები“ — დაკავშირებით და წინორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, სკკ XXVI ყრილობის მიერ დასახული მატერიალური რესურსების ეკონომიური და რაციონალური გამოყენების ამოცანების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

უზრუნველყონ მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრატექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე დონის და მატერიალური რესურსების ეკონომიის დავალებათა შესაბამისი პროგრესული ნორმების დანერგვის საფუძველზე;

დაუწესონ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ნედლეულის, მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების მარაგის დიფერენცირებული, ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმები;

მკაცრი კონტროლი გაუწიონ ნედლეულის, მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმებისა და მარაგის დაცვის, პირდაპირი დანიშნულებით მათს გამოყენებას, მატერიალური რესურსების ხარჯვისა და წინორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა არსებობის შესახებ უტყუარი ანგარიშგების დროულად წარდგენას;

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი წინორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, მათ შესამცირებლად და სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად, საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გეგმებში, წარმოების ტექნოლოგიაში, აგრეთვე ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებში ცვლილებათა დადგენილი წესით შეტანისას ამავე დროს მიიღონ გადაწყვეტილებანი განთავისუფლებული მატერიალური რესურსების გამოყენების შესახებ;

დააკისრონ დამნაშავე თანამდებობის პირებს კანონმდებლობით დაწესებული პასუხისმგებლობა მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების წარსადგენი განცხადების გადიდებისათვის, ნედლეულის, მასალების, ნაკეთობების,

მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა არადანიშნულების შემთხვევაში, ხარჯვისა და გამოყენებისათვის, მოწყობილობის განკომლქტებისათვის, მატერიალურ ფასეულობათა დაუსაბუთებლად ჩამოწერისათვის, ანგარიშგების წარუდგენლობისათვის, არასწორი მონაცემების შეტყობინების ან სხვა ფორმით სახელმწიფოსათვის მატერიალური რესურსების მიჩქმალვისათვის, აგრეთვე მათ გამოყენებაში სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევისათვის.

2. სსრ კავშირის სახმომარაგებამ უზრუნველყოს მკაცრი სახელმწიფო კონტროლი მატერიალური რესურსების ჯეროვანი გამოყენებისა და მათი მატერიალური ფასეულობანი სამეურნეო ბრუნვაში მათი გადანაწილების, მიწოდების რეგულირების, საკომისიო საწყისებზე შესყიდვისა და გაყიდვის, მყიდველთა გამოსანახად მომსახურების გაწევის გზით.

სსრ კავშირის სახბანკმა და სსრ კავშირის მშენბანკმა გააძლიერონ კონტროლი მომხმარებლებთან არსებული მატერიალური ფასეულობების მარაგის მდგომარეობისადმი.

3. ზენორმატიულ მატერიალურ ფასეულობებს მიეკუთვნება საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებული ის ნედლეული, მასალები, ნაკეთობანი, მოწყობილობა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, რომელთა რაოდენობა აღემატება მარაგის ნორმატივს.

სარეალიზაციო ზენორმატიულ მატერიალურ ფასეულობებს არ მიეკუთვნება სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დაკრედიტებული სეზონური მარაგი, მოწყობილობა, იმპორტული მასალები, აგრეთვე რეზერვში არსებული მატერიალური ფასეულობანი.

გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს მიეკუთვნება ის ნედლეული, მასალები, ნაკეთობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა მატერიალური ფასეულობანი (მათ შორის ნახმარი), რომლებიც ვარგისია გამოსაყენებლად, მაგრამ არ სჭირდებათ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც ისინი აქვთ.

4. დავეალოთ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს წარუდგინონ ცნობები გეგმის შესრულების პროცესში წარმოქმნილ ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა არსებობის შესახებ მათ მიმართ ზემდგომ ორგანოს და სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიულ ორგანოს ან იმ სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების გასაღების ორგანოს, რომელსაც ეკისრება შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით და ვადებში.

საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა წარმოქმნის კვალობაზე დაწესებული ანგარიშგების გაგზავნამდე შეატყობინონ მათი არსებობის შესახებ ზემდგომ ორგანოს და შესაბამის მომარაგება-გასაღების ორგანოს.

5. სსრ კავშირის სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების სისტემაში ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა



გადანაწილების წესს განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისად საინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური საინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

6. შესაბამისი ზემდგომი ორგანოები ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა არსებობის შესახებ ამ ორგანოებისათვის ცნობების გაგზავნის დღიდან ან მათი გამოვლენის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიისა და ციმბირის რაიონებში განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიხედვით — 45 დღის ვადაში გადაანაწილებენ მატერიალურ ფასეულობებს, რომლებისთვისაც ისინი გამოყოფენ ფონდებს, საქვეუწყებო საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის.

7. რჩევა მიეცეთ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებს განსაზღვრონ შესაბამისი ორგანიზაციის სისტემაში ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა გადაანაწილების წესი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ გეგმიანი წესით მიღებული და კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სისტემაში გადაუნაწილებელი მატერიალური ფასეულობანი უნდა გასაღდეს ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

8. თუ შესაბამისი ზემდგომი ორგანო უარს ამბობს ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა გადაანაწილებაზე ან მისგან პასუხი მიღებული არაა ამ დადგენილების მე-6 პუნქტით დაწესებულ ვადაში, საწარმო, გაერთიანება, ორგანიზაცია, დაწესებულება ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა არსებობის შესახებ აცნობებს სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიულ ორგანოს ან იმ საინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების გასაღების ორგანოს, რომელსაც ეკისრება შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია.

9. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად გადაუნაწილებელი ზენორმატიული და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი მოხმარდება პირველ რიგში მოხმარებელთა დაგეგმილ მოთხოვნებზე-საჭიროებებს, საწარმოებში სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის პროდუქციის მისაწოდებლად მატერიალური საბრუნავი რესურსების შევსებას, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საჭირო პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის დამატებით წარმოებას, მოსახლეობისათვის მისაყიდლად საბაზრო ფონდების გადიდებას, სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევას და სხვა გადაუდებელ საჭიროებებს, აგრეთვე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან გაცვლითი ოპერაციების განხორციელებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის სახმომარაგებას გამოიყენოს ზენორმატიული მიზნებისათვის მის მიერ განსაზღვრული წესით სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნომენკლატურის მიხედვით იმ ზენორმატიულ მატერიალურ ფასეულობათა 25 პროცენტამდე, რომელთაც სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ორგანოები მოაქცევენ სამეურნეო ბრუნვაში საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ფონდების გადამეტებით.

ფერადი ლითონები და მათი შენადნობები, უჟანგავი, საკონსტრუქციო და სიახლო ფოლადები და სხვა სახეობათა პროდუქცია, რომელთა გამოყენება სახალხო მეურნეობაში განისაზღვრება სპეციალური ბრძანებებით, სახალხო მეურნეობის დაგეგმილი მოთხოვნილება-საჭიროებებისათვის მათი გადანაწილების შესაძლებლობის არარსებობისას, შეიძლება მიეცეთ სხვა მომხმარებლებს მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ ექნებათ ნებართვა ამ პროდუქციის გამოსაყენებლად.

თავდაცვითი ტექნიკისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია ხდება თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

10. სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ორგანოები და სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოები, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, ამ დადგენილების მე-9 პუნქტის შესაბამისად სამეურნეო ბრუნვაში ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა მოქცევისას:

მისცემენ ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა მქონე საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს განრიგებს შესაბამის სახეობათა პროდუქციისა და საქონლის მისაწოდებლად; შეცვლიან დადგენილი წესით მიწოდების ვადებს და შეამცირებენ მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი პროდუქციისა და საქონლის როდენობას მათთან არსებულ შესაბამის ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა გათვალისწინებით.

მატერიალური რესურსების ნაშთების ნუსხაში შეტანილი ზენორმატიული და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი რეალიზებულ იქნება მხოლოდ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების დაწესებულებებით, რომელიც მიიღება აღწერის შედეგებთან დაკავშირებით.

11. იმ შემთხვევებში, როცა საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ფაქტურად არსებული მატერიალური ფასეულობანი და გამოყოფილი ფონდები აღემატებიან დაგეგმილი წლის მოთხოვნილებას ვარდამავალი მარაგის გათვალისწინებით, ხოლო შესაბამის ზემდგომ ორგანოებს არ გადაუწაწილებიათ ზენორმატიული და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი ამ დადგენილების მე-6 პუნქტით დაწესებულ ვადებ-



ში, ერთსახელიანი პროდუქციის ფონდები შეიძლება შემციოდეს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ განსაზღვრული წესით.

თუ სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს აქვთ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში არის მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული და გამოუყენებელი მარაგი, სსრ კავშირის სახმომარაგებას შეუძლია შეუმციროს მათ ერთსახელიანი პროდუქციის ფონდები.

12. დაწესდეს, რომ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საწარმოო აუცილებლობასთან დაკავშირებით შეუძლიათ განახორციელონ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოს ნებართვით პროდუქციის გაცვლის ოპერაციები ერთი სახეობის ფარგლებში. ამ პროდუქციისათვის ანგარიშსწორება ხდება დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებათა მეშვეობით.

13. თუ საწარმოები, გაერთიანებანი, ორგანიზაციები და დაწესებულებანი საკრედიტო შეთანხმებით დაწესებულ ვადაში არ დაფარავენ მატერიალური ფასეულობებისათვის მათთვის მიცემულ სესხს, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებანი იძულებით მიჰყიდნან შესაბამის ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს სხვა საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოების ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოების მითითებით, რომელთაც ეკისრებათ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, იხეთი ვარაუდით, რომ მიღებული სახსრები მოხმარდეს სესხის დავალიანების დაფარვას.

14. სსრ კავშირის სახბანკმა მისცეს მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს კრედიტები მათ მიერ სარეალიზაციოდ მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა ასანაზღაურებლად რეალიზაციის ვადით, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა.

15. საწარმოს, გაერთიანებას, ორგანიზაციას, დაწესებულებას უფლება აქვს დამოუკიდებლად გაასაღოს გეგმიანი წესით გასანაწილებელი გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ორგანო ან სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების გასაღების ორგანო უარს ამბობს გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციაზე ან მათგან პასუხი მიღებული არაა ერთი თვის ვადაში, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიისა და ციმბირის რაიონებში განლაგებული საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის — 45 დღის ვადაში ზემოაღნიშნულ მატერიალურ ფასეულობათა არსებობის შესახებ ცნობის გაგზავნის დღიდან.

16. მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც გვემინი წესით არ ნაწილდება, საწარმოები, გაერთიანებანი, ორგანიზაციები და დაწესებულებანი დამოუკიდებლად ასაღებენ.

17. ზენორმატიულ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია ხდება დამტკიცებულ საბითუმო ან საცალო ფასებში სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით.

გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია ხდება მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფასებში, მაგრამ არა უმეტეს მოქმედი საბითუმო ფასებისა, ხოლო პროდუქციისათვის, რომელზეც დაწესებულია მხოლოდ საცალო ფასები, — ფასებში, რომლებიც არ აღემატება საცალო ფასებს სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით.

სავაჭრო ორგანიზაციები გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან შეიწყვიდონ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფასებში, მაგრამ არა უმეტეს საცალო ფასებისა სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით, ხოლო საცალო ფასების არარსებობისას — ფასებში, რომლებიც არ აღემატება საბითუმო ფასებს.

როცა სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენებანკის დაწესებულებანი იძულებითი ჰყვიდონ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კუთვნილ ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს ხარისხის დაკარგვის ან სხვა მიზეზების გამო მათი დამტკიცებულ საბითუმო ან საცალო ფასებში რეალიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ფასეულობანი გაიყიდება დაკლებულ ფასებში და ჩამოფასების თანხები მიეკუთვნება სესხმიმღების სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

18. საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ ზემდგომი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოებისათვის ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოებისათვის შეუტყობინებლად, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, მისცენ უსასყიდლოდ:

ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებსა და კურსებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებს, საბავშვო სახლებს, ღრმა მოხეტია და ინვალიდთა სახლებს, შრომა-გასწორების დაწესებულებებს — მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სჭირდებათ მათ სასწავლებლად და სახელოსნოების, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღსაჭურვად;

უმაღლეს სასწავლებლებს — მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე გამოფენებზე ჩვენებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის;



ტუბერკულოზსაწინააღმდეგო, ფსიქიატრიულ და ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებათა სამკურნალო-შრომით სახელოსნოებს — მოწყობილობა და ინსტრუმენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციები და დაწესებულებანი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უსასყიდლოდ გაცემენ მატერიალურ ფასეულობებს თავიანთი ზემდგომი ორგანოს ნებართვით, თუ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის სხვა წესი.

უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში განლაგებულ საწარმოებსა და გაერთიანებებს უფლება აქვთ უსასყიდლოდ მისცენ თავიანთი ზემდგომი ორგანოების ნებართვით გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი კოლმეურნეობებს.

19. სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ მთავარმოსკოვმშენს, მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ მთავარმოსკოვოლქმშენს, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ მთავარლენინგრადმშენს და ლენინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ ლენინგრადის ოლქში მშენებლობის სამმართველოს უფლება აქვთ ნება დართონ საქვეუწყებო საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოებისათვის ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოებისათვის შეუტყობინებლად, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, მისცენ უსასყიდლოდ:

სხვა სახელმწიფო საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — მოწყობილობა (მათ შორის დემონტირებული) და სატრანსპორტო საშუალებანი, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დაკრედიტებული ან დაფინანსების ანგარიშებიდან ანაზღაურებული ძირითადი ფონდების შემადგენლობაში ჩაურთიყვანი მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების გარდა;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებსა და დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიებს, უმაღლეს სასწავლებლებს — მოწყობილობა და აპარატურა სსრ კავშირის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად ან მათი შეკვეთით სამეცნიერო-კვლევით საშუაოთა განსახორციელებლად;

სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიულ ორგანოებს — მოწყობილობა და ხელსაწყოები ხელსაწყოების, მოწყობილობისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამჭირავებელ საწარმოთა დასაკომპლექტებლად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენებს დაინტერესებულ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეუძლიათ უსასყიდლოდ მისცენ მუზეუმებს, კულტურის სახლებს,

მოძრავ გამოფენებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში აგრეთვე პიონერთა ბანაკებს გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი, გადაცემული ექსპონატების ღირებულებას ჩამოსწორენ ექსპონენტები გამოფენების შეტყობინებათა საფუძველზე.

20. სსრ კავშირის სახმომარაგებამ უზრუნველყოს, რომ საქვეუწყებო ტერიტორიულმა ორგანოებმა ხელი შეუწყონ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მათთან არსებულ იმ გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციაში, რომლებიც მოქცეული არაა სამეურნეო ბრუნვაში, ამ დადგენილების მე-6 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიულ ორგანოებს საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე გამოსცენ ზემოაღნიშნულ მატერიალურ ფასეულობათა საინფორმაციო სიები.

21. საწარმოები, გაერთიანებანი, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც ასაღებენ გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების ან სავაჭრო ორგანიზაციების ხელშეწყობით, უხდინან მათ ვასამრჯელოს მომსახურებისათვის სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული ოდენობით. აღნიშნული ვასამრჯელო ვაიცემა გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შემდეგ სამი დღის ვადაში.

22. დაწესდეს, რომ:

საბრუნავი სახსრებისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვით მიღებული თანხები რჩება საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის, დაწესებულების განკარგულებაში მისი საბრუნავი სახსრების სახით, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე რიცხული მოწყობილობისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გაყიდვით მიღებული თანხები ჩაირიცხება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიშებზე;

ძირითადი სახსრებისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვით მიღებული თანხები რჩება საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის, დაწესებულების განკარგულებაში და ჩაირიცხება წარმოების განვითარების ფონდში, ხოლო იმ საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომელთაც ასეთი ფონდი არა აქვთ, მოხმარდება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას;

სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვით მიღებული თანხები ჩაირიცხება შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში ამ ორგანიზაციათა დაქვემდებარების მიხედვით, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის ასეთი სახსრების გამოყენების სხვა წესი;

სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მიერ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვით მიღებულ თანხებს გამოიყენებენ ეს ორგანიზაციები სამეცნი-



ერო მიზნებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, აპარატურისა და მანქანების შესაძენად.

23. დაწესდეს, რომ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის (გაცემის) დადგენილი წესის დარღვევისათვის საწარმო, გაერთიანება, ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელმაც არასწორად მოახდინა მათი რეალიზაცია, სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიულ ორგანოებს ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოებს, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, უხდინან ჯარიმას არასწორად რეალიზებულ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების 25-დან 100 პროცენტამდე ოდენობით. მატერიალური ფასეულობებისათვის, რომელთა ერთეულის ღირებულება არ აღემატება 100 მანეთს, ჯარიმა გადახდება მათი ღირებულების სამმაგი ოდენობით.

24. სსრ კავშირის სახმომარაგებამ შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახბანკთან, სსრ კავშირის მშენებანკთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ.

საკახსოფლტექნიკამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების კუთვნილ საწარმო-ტექნიკური დანიშნულების გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ.

25. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი, რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულს
 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 31 ივლისის № 732 დადგენილებით

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 17 აპრილის № 404 დადგენილებით დამტკიცებული ნაციონალიზებული, კონფისკებული, ბაითალმანი და უპატრონო ქონების აღრიცხვისა და გამოყენების წესის დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1943 წ. № 6, მუხ. 98) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მატერიალური ფასეულობანი, რომელთა გამოყენების წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 31 ივლისის № 732 დადგენილებით „ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებულ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებაში (სსრკ დადგ., კრებ., 1965 წ., № 19-20, მუხ. 155):

ა) მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. საწარმოს შეუძლია უსასყიდლოდ მისცეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ საწარმოს მუშაკები, მასთან არსებულ ქარხანა-უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და ტექნიკუმს სადგომები სასწავლო მიზნებისათვის, საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მასალები სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის, ამასთან უზრუნველყოს სადგომის რემონტი და სამეურნეო მომსახურება, ელექტროენერჯითა და სათბობით მომარაგების ჩათვლით.

საწარმოს შეუძლია ზემდგომი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოებისათვის ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოებისათვის შეუტყობინებლად, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, მისცეს უსასყიდლოდ:

ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებსა და კურსებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებს, საბავშვო სახლებს, ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლებს, შრომა-გასწორების დაწესებულებებს — მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სჭირდებათ მათ სასწავლებლად და სახელოსნოების, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღსაჭურვად;



უმალეს სასწავლებლებს — მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოების და სხვა მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე გამოფენებზე ჩვენებიდან მოხსნილ ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის;

ტუბერკულოზსაწინააღმდეგო, ფსიქიატრიულ და ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებათა სამკურნალო-შრომითს სახელოსნოებს — მოწყობილობა და ინსტრუმენტი“;

ბ) 21-ე პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები შეიცვალოს შემდეგი რედაქციის აბზაცით:

„21. ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და ა. შ.) საწარმო გაასაღებს დადგენილი წესით“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 64 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა დებულების (სსრკ დადგ., კრებ., 1969 წ., № 4, მეხ. 24) 70-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„70. გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და ა. შ.) უმაღლესი სასწავლებელი გაასაღებს დადგენილი წესით.

მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციით მიღებული თანხები რჩება უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ვადამეტებით და გამოიყენება სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, აპარატურისა და მასალების შესაძენად“.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულების (სსრკ დადგ., კრებ., 1973 წ., № 7, მეხ. 32) 35-ე პუნქტის „ვ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გადაანაწილოს დადგენილი წესით გაერთიანების შიგნით ზენორმატიული და საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და სხვა მატერიალური ფასეულობანი;

გ) ნება დართოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მისცენ უსასყიდლოდ სხვა სახელმწიფო საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი (სსრ კავშირის სახზანკისა და სსრ კავშირის მშენებანკის მიერ დაკრედიტებული ან დაფინანსების ანგარიშებიდან ანაზღაურებული ძირითადი ფონდების შემადგენლობაში ჩაურიცხავი მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების გარდა) იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი ორგანო უარს ამბობს ამ ქონების გადანაწილებაზე სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების სისტემაში“.



5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 28 მ. 2-ის დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულებაში (სსრკ დადგ., კრებ., 1974 წ., № 8, მუხ. 38):

ა) 45-ე პუნქტის პირველი — მეხუთე აბზაცები შეიცვალოს შემდეგ რედაქციის აბზაცით:

„45. ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და ა. შ.) საწარმოო გაერთიანება (კომბინატი) გაასაღებს დადგენილი წესით“;

ბ) 49-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„49. საწარმოო გაერთიანებას (კომბინატს) და საწარმოო ერთეულს შეუძლიათ უსასყიდლოდ მისცენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ მათი მუშაკები, გაერთიანებასთან არსებულ ქარხანა-უმალღეს ტექნიკურ სასწავლებელსა და ტექნიკუმს სადგომები სასწავლო მიზნებისათვის, საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მასალები სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის, ამასთან უზრუნველყონ სადგომების რემონტი და სამეურნეო მომსახურება, ელექტროენერგითა და სათბობით მომარაგების ჩათვლით.

საწარმოო გაერთიანებას (კომბინატს) შეუძლია ზემდგომი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოებისათვის ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოებისათვის შეუტყობინებლად, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, მისცეს უსასყიდლოდ:

ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებსა და კურსებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებს, საბავშვო სახლებს, ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლებს, შრომა-გასწორების დაწესებულებებს — მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სჭირდებათ მათ სასწავლებლად და სახელოსნოების, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღსაჭურვად;

უმალღეს სასწავლებლებს — მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე გამოფენებზე ჩვენებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის;

ტუბერკულოზსაწინააღმდეგო, ფსიქიატრიულ და ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებათა სამკურნალო-შრომით სახელოსნოებს — მოწყობილობა და ინსტრუმენტი.

გაერთიანებას შეუძლია გასწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვის ხარჯები ზეგეგმითი დაგროვების სახსრებიდან“.



6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებულ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულებაში (სსრკ. დადგ., კრებ., 1976 წ., № 2, მუხ. 13):

ა) 45-ე პუნქტის პირველი — მეხუთე აბზაცები შეიცვალოს შემდეგი რედაქციის აბზაცით:

„45. ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და ა. შ.) სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება გაასაღებს დადგენილი წესით“;

ბ) 49-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„49. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას (სტრუქტურულ ერთეულს) შეუძლია უსასყიდლოდ მისცეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საპურსო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ გაერთიანების (სტრუქტურული ერთეულის) მუშაკები, გაერთიანებასთან არსებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და ტექნიკუმს სადგომები სასწავლო მიზნებისათვის, საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მასალები სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის, ამასთან უზრუნველყოს სადგომების რემონტი და სამეურნეო მომსახურება, ელექტროენერგია და სათბობით მომარაგების ჩათვლით.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ზემდგომი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოებისათვის ან იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანოებისათვის შეუტყობინებლად, რომელთაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, მისცეს უსასყიდლოდ:

ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებსა და კურსებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებს, საბავშვო სახლებს, ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლებს, შრომა-გასწორების დაწესებულებებს — მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სჭირდებათ მათს სასწავლებლად და სახელოსნოების, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღსაჭურვად;

უმაღლეს სასწავლებლებს — მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე გამოყენებზე ჩვენებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის;

ტუბერკულოზსაწინააღმდეგო, ფსიქიატრიულ და ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებათა სასწავლო-შრომითს სახელოსნოებს — მოწყობილობა და ინსტრუმენტი.



გაერთიანებას შეუძლია გასწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვის ხარჯები ზეგეგმითი დაგროვების სახსრებიდან“.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 მაისის № 395 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ გაერთიანებათა ზოგადი დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1980 წ., № 15, მუხ. 98) 38-ე პუნქტის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგა რედაქციით:

„გადაანაწილოს დადგენილი წესით გაერთიანების შიგნით ზენორმატიული და სრულიად საკავშირო ან რესპუბლიკური გაერთიანების შემადგენლობაში შემაჯავალ გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და სხვა მატერიალური ფასეულობანი“.

დამატებითი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 31 ივლისის № 732 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 28 ივნისის დადგენილება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის იმის ნებართვის მიცემის შესახებ, რომ გადასცეს საავიაციო ქონება ავტომობილების განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელშეწყობ საზოგადოებებს“ (სსრკ კან. კრებ., 1929 წ., № 42, მუხ. 376).

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 13 მარტის № 504 დადგენილება „სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სასწავლო-საწარმოო შენობებისა და საერთო საცხოვრებლების აღჭურვისა და რემონტისათვის სახალხო კომისარიატების მიერ გაწეული ხარჯების ჩამოწერის შესახებ“.

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 21 მარტის № 628 დადგენილება „საწარმოებში არსებული ზედმეტი, გამოუყენებელი მოწყობილობისა და მასალების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 12 ივნისის № 1576-650 დადგენილება.



5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 30 მაისის № 8425 განკარგულების მე-10 პუნქტი.
6. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 11 დეკემბრის № 3073 დადგენილება „სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გადასაცემი ქონების ანგარიშსწორების შესახებ“.
7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 18 ივნისის № 2583-1016 დადგენილება.
8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 14 ივლისის № 3089-1290 დადგენილება.
9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 26 მაისის № 8184 განკარგულება.
10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 30 ივლისის № 12951 განკარგულება.
11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 4 ოქტომბრის № 3818-1747 დადგენილება.
12. მე-15 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 10 მარტის № 1263 დადგენილებისა „დონბასისა და დნეპრის ენერჯისისტემების საწარმოებში ელექტროენერჯიის ეკონომიის შესახებ“.
13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 26 მაისის № 26 მაისის № 12994 განკარგულება.
14. 35-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების უფლებათა გაფართოების შესახებ“.
15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 8 ივლისის № 8961 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.
16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 17 აგვისტოს № 10812 განკარგულება.
17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 21 აგვისტოს № 11052 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.
18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 14 სექტემბრის № 12188 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.
19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 30 სექტემბრის № 12979 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.



20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 ოქტომბრის № 2601 დადგენილება „სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში დაუდგმელი მოწყობილობის რემონტისა და ამოქმედების ღონისძიებათა შესახებ“.

21. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 ოქტომბრის № 2697-1136 დადგენილება.

22. მე-13 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 19 მარტის № 481 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ორგანიზაციის საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

23. მე-11 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 მარტის № 516 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ორგანიზაციის საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

24. „მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ქალაქ მოსკოვში საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 აპრილის № 786 დადგენილების მე-17 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 7 მაისის № 4868 განკარგულების მე-2 პუნქტი.

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 25 მაისის № 1010-435 დადგენილება.

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 30 ივლისის № 8296 განკარგულების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 აგვისტოს № 1741 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს ორგანიზაციის საკითხები“.

29. მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 13 ოქტომბრის № 2129 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტის ორგანიზაციის საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

30. „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“ 72-ე პუნქტი და დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“ 26-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.



31. მე-12 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 აგვისტოს № 863 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების ზოგიერთი დამატებითი უფლების შესახებ“.

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 მაისის № 938 დადგენილება „ზედმეტი, გამოუყენებელი მასალების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადანაწილებისა და რეალიზაციის წესის შეცვლის შესახებ“.

33. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 მაისის № 4098 განკარგულება.

34. 22-ე და 23-ე პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებისა „საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“.

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 30 აგვისტოს № 6345 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

36. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 სექტემბრის № 6594 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

37. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 სექტემბრის № 6882 განკარგულების მე-2 პუნქტი.

38. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12 დეკემბრის № 8285 განკარგულება.

39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის, 11 აპრილის № 453 დადგენილება „უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციის საკითხები“.

40. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 დადგენილების მე-8 პუნქტი.

41. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 მაისის № 2571 განკარგულება.

42. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 ივლისის № 4266 განკარგულება.

43. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს № 1042-544 დადგენილების მე-7 პუნქტი.

44. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 9 აგვისტოს № 1106 დადგენილების მე-3 პუნქტი.

45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 სექტემბრის № 5809 განკარგულება.

46. „მოსკოვის ოლქში მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 აპრილის № 461 დადგენილების 23-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტითა და სსრ

კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

47. „ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარ-ლენინგრადმშენის უფროსის უფლებათა ვაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 აპრილის № 462 დადგენილების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

48. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 27 ივნისის № 1683 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

49. „სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის თანამდებობრივი სარგოების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აგვისტოს № 986 დადგენილების მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

50. 37-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხის დამატებით გადაცემის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1957 წ., № 10, მუხ. 105).

51. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 6 სექტემბრის № 1076 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომთუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ. 1957 წ., № 11, მუხ. 113) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

52. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 13 ნოემბრის № 1283 დადგენილებისა „სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების დირექტორების უფლებათა ვაფართოების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1957 წ., № 15, მუხ. 143) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

53. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 ნოემბრის № 1283-591 დადგენილების მე-6 პუნქტი.

54. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 ნოემბრის № 3529 განკარგულების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.



55. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური უფლებამოსების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 იანვრის № 114 დადგენილების მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

56. 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 ივნისის № 618 დადგენილებისა „საზღვაო ფლოტის სამინისტროს სანაოსნოთა უფროსების უფლებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 10, მუხ. 86) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

57. „რკინიგზების უფროსებისა და რკინიგზების განყოფილებების უფროსების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 აგვისტოს № 992 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

58. 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 16 სექტემბრის № 1050 დადგენილებისა „რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროს სანაოსნოთა უფროსებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების უფლებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 16, მუხ. 126) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

59. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 სექტემბრის № 3140 დადგენილების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

60. 22-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის № 166 დადგენილებისა „მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 3, მუხ. 18) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

61. მე-13 პუნქტის მეოთხე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 31 ოქტომბრის № 1222 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკითხები“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 19, მუხ. 156).

62. მე-12 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 ნოემბრის № 1303 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა დაფინანსების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ.,

№ 20, მუხ. 161) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

63. „ქალაქ ვლადივოსტოკის განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 იანვრის № 43 დადგენილების მე-4 პუნქტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

64. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 მარტის № 740 განკარგულება.

65. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 მარტის № 841 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

66. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 694 დადგენილება „სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დემონტირებული, ზედმეტი და გამოუყენებელი მოწყობილობის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1960 წ., № 13, მუხ. 101).

67. „საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების მოქმედების ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და მეურნეობათა ხელმძღვანელებზე გავრცელების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 20 სექტემბრის № 1007 დადგენილების 1-ლი პუნქტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

68. მე-4 პუნქტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 ოქტომბრის № 1069 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

69. მე-9 პუნქტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 აპრილის № 282 დადგენილებისა „დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1961 წ., № 7, მუხ. 64) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

70. 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 ივნისის № 519 დადგენილებისა „საწარმოებში, მშენებლობებზე და ორგანიზაციებში არსებული ზედმეტი დაუდგმელი მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1961 წ., № 10, მუხ. 81).



71. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 დეკემბრის № 1430 დადგენილება „თეატრალურ-სანახაობითი საწარმოების, კინოსტუდიებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოუყენებელ სასცენო-სადადგმო საშუალებათა გადაცემის წესის შესახებ“.

72. „საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების მოქმედების პურეულის მიმღებ საწარმოთა ხელმძღვანელებზე გავრცელების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 790 დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

73. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 956 დადგენილებისა „იარსრულწლოვანთა აღსაზრდელი და შრომითი კოლონიებისადმი დახმარების ღონისძიებათა შესახებ“.

74. მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 დეკემბრის № 1269 დადგენილებისა „ტუბერკულოზთან ბრძოლის გაძლიერების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

75. „სსრ კავშირის სახმშენთან არსებული შუა აზიის ირიგაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და შტატების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 7 თებერვლის № 161 დადგენილების მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

76. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 ივნისის № 1281 განკარგულების მე-2 პუნქტი.

77. „საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 7 აგვისტოს № 1430 დადგენილების 11 განაყოფის მოქმედების „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა მმართველებზე გავრცელების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 23 სექტემბრის № 1005 დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

78. „საზღვაო სანაოსნოთა განმტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 27 იანვრის № 78 დადგენილების მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

79. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 მაისის № 384 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად მოძველებული საავიაციო ტექნიკის გადაცემის წესის შესახებ“.

80. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 ივნისის № 1294 განკარგულება.



81. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის დადგენილების 22-ე პუნქტი.

82. მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 სექტემბრის № 785 დადგენილებისა „სსრ კავშირის მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ირივაციისა და ბრინჯის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებული საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

83. „უზბეკეთის სსრ ყარაყალღაქეთის ასს რესპუბლიკაში, სურპანდარიის ოლქსა და ცენტრალურ ფერგანაში წყალთა მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 დეკემბრის № 1066 დადგენილების მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

84. 26-ე პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 27 იანვრის № 50 დადგენილებისა „ქიმიის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში ქიმიის მეცნიერების მიღწევათა დანერგვის დაჩქარების და ლაბორატორიული მოწყობილობითა და ხელსაწყოებით სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“.

85. მე-12 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 13, მუხ. 94).

86. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივნისის № 428 დადგენილებისა „სსრ კავშირის სამუზეუმო ფონდის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 13, მუხ. 103).

87. „საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების მოქმედების სამშენებლო ორგანიზაციების ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და მეურნეობათა ხელმძღვანელებზე გავრცელების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 ივლისის № 566 დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

88. მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 სექტემბრის № 720 დადგენილებისა „მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარმოსკოვმშენის ზოგიერთი ორგანიზაციისა და საწარმოს მუშაობის დაგეგმვისა და მათდამი ხელმძღვანელობის ახალი წესის

ცდის სახით გამოყენების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 22, მუხ. 159).

89. მე-14 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 დეკემბრის № 1031 დადგენილებისა „კინოფილმების წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმების და მყურებელთა შორის კინოფილმების წარმატების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ექსპერიმენტული შემოქმედებითი კინოსტუდიის მუშაკთათვის წამახალისებელი გასამრჯელოს გადახდის შესახებ“.

90. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 აპრილის № 819 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლების ნაწილში.

91. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს № 662 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ამ კომიტეტთან არსებული მთავარი სამმართველოების უფროსების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოების უფროსების უფლებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 18, მუხ. 163) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში, აგრეთვე მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“ 26-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

92. მე-5 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 ოქტომბრის № 834 დადგენილებისა „ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ საწარმოში ცდის სახით ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის შემოღების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 22, მუხ. 200).

93. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 დეკემბრის № 962 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსისა და ამ მთავარი სამმართველოს სამმართველოთა უფროსების უფლებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 1, მუხ. 2) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

94. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 მარტის № 237 დადგენილებისა „სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის დანახარჯების დაეგმვის წესის შეცვლისა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელმძღვანელების უფლებათა გაფართოების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 9, მუხ. 50).



95. მე-17 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 641 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების უფლებათა დამატებითი ვაფართოების შესახებ“ (სსრ დადგ. კრებ., 1967 წ., № 17, მუხ. 117).

96. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 8 აგვისტოს № 754 დადგენილების მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

97. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 აგვისტოს № 2048 განკარგულების მე-3 პუნქტი.

98. „ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 31 აგვისტოს № 824 დადგენილების 25-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 ოქტომბრის № 834 დადგენილების მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

99. მე-11 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 სექტემბრის № 856 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოთა და სარეწოთა შემდგომი განვითარების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 23, მუხ. 163).

100. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 აპრილის № 662 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 35-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა ნაწილში.

101. მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 309 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 12, მუხ. 66).

102. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 თებერვლის № 120 დადგენილება „სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებზე სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედებისა და საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1967 წლის 22 მარტის № 237 დადგენილების მოქმედების გავრცელების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1970 წ., № 4, მუხ. 29) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 მარტის № 237 დადგენილების მე-4 პუნქტის მოქმედების გავრცელების ნაწილში.

103. მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 მარტის № 157 დადგენილებისა „სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის

განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ. 1971 წ., № 5, მუხ. 37).

104. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 19 ივლისის № 500 დადგენილება „მარაგიდან სამეურნეო ბრუნვაში მატერიალურ ფასეულობათა მოქცევისა და მათი ბრუნვადობის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“.

105. მე-3 პუნქტის მეექვსე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 23 აგვისტოს № 673 დადგენილებისა „1976-1980 წლებში მატერიალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევისა და საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების შესახებ“.

106. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 14 სექტემბრის № 776 დადგენილების 21-ე პუნქტის მეორე აბზაცი.

83 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 950 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 მაისის № 332 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 960 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩათვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 მაისის № 332 დადგენილება „სამეურნეო და დიდმნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის მათი სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის მიხედვით მასალების, მოწყობილობის, საშენი მქანისშემებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. შИთანაშა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარია.**

84 საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, როგორც აღნიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 აპრილის № 325 დადგენილებაში „სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებაში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სამინისტროთა, უწყებათა და მმართველობის სხვა ორგანოთა მიერ ჩატარებული რევიზიები და შემოწმებები ჯერ კიდევ ნაკლებეფექტიანია და არ შეესაბამება სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განტყიცების, უყიარათობის ფაქტების თავიდან აცილებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. რევიზიები და შემოწმებები ხშირად ზერელე, ფორმალური ხასიათისაა და ჯეროვან შემოქმედებას ვერ აღძენენ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებაზე. მათ, როგორც წესი, არავენ არ უწევს კოორდინაციას, რაც წარმოშობს პარალელისმსა და დუბლირებას მუშაობაში.

აღნიშნული ნაკლოვანებები მთლიანად დამახასიათებელია საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებისათვისაც.

ითვალისწინებს რა, რომ კონტროლის გაძლიერება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის პროგრამის განუყოფელი ნაწილია, და სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 აპრილის № 325 თანდართული დადგენილება „სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განიხილონ საუწყებო კონტროლის მდგომარეობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების, „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 361 დადგენილების და „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარე-



ვიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მათი 1980 წლის 10 თებერვლის № 180 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ამ საქმეში და მიიღონ ზომები ჩატარებულ რევიზიათა და შემოწმებათა ეფექტიანობისა და ქმედითობის ასამაღლებლად, აგრეთვე საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის კოორდინაციის გასაძლიერებლად.

შესრულების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ასლით — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1982 წლის 1 მაისისათვის.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განაზოგადოს წარმოდგენილი მასალები და მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— უზრუნველყონ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ხარისხიანად ჩატარება, ამასთან დაეყრდნონ შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს, ჩააბან ამ მუშაობაში წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის, ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ეკონომიკის სხვა საკითხების კარგად მცოდნე სპეციალისტები; ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში იმ ორგანიზაციებში ხელახალ შემოწმებათა ჩატარება, სადაც რევიზიები მოეწყო; დროულად განიხილონ რევიზიათა და შემოწმებათა მასალები, მიიღონ საჭირო ზომები ბოროტმოქმედებათა, დატაცებათა, უყარათობისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევათა თითოეული ფაქტის გამო;

— გააუმჯობესონ მუშაობა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებისათვის კადრების შესარჩევად და მოსამზადებლად, განამტკიცონ ისინი კვალიფიკაციის სპეციალისტებით, უზრუნველყონ ამ მუშაკთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;

— უზრუნველყონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 აპრილის № 325 დადგენილებით განსაზღვრული საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფის ხელმძღვანელთა დანიშვნისა და განთავისუფლების იმ წესის განუხრელი შესრულება, რომლის თანახმადც სამინისტროს ან უწყების საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს (განყოფილების) უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი ან უწყების ხელმძღვანელი, ხოლო მმართველობის სხვა ორგანოს საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფის ხელმძღვანელს — შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაცია ამ ორგანოს ხელმძღვანელისა და ზემდგომი ორგანიზაციის საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის ხელმძღვანელის წარდგენით;

— შეიმუშაონ 1982 წლის 1 დეკემბრამდე დარგობრივი ინსტრუქციები საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარების წესის შესახებ, ამასთან შეუთანხმონ ისინი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 ოქტომბრის № 537 დადგენილების და საქართველოს კპ ცენ-

ტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 361 და 1980 წლის 10 თებერვლის № 180 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებანი:

— სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სამმართველოთა (განყოფილებათა) და მმართველობის სხვა ორგანოთა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები გარდაიქმნა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებად, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან აღნიშნულ ორგანოთა ხელმძღვანელებს;

— მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში აღნიშნული ქვედანაყოფები ცენტრალიზებულია ერთიან საკონტროლო-სარევიზიო სამსახურად და მას დაეკისრა საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარების მოვალეობანი, აგრეთვე წინადადება მიეცა განახორციელოს ეს მუშაობა სხვა სამინისტროებსა და უწყებებში საჭიროების კვალობაზე;

— მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოთა (განყოფილებათა) უფროსები შეყვანილი არიან აღნიშნული ორგანოების კოლეგიების (კომიტეტების) შემადგენლობაში, ხოლო დანარჩენ სამინისტროებსა და უწყებებში მზადდება წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარმოსადგენად.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებმა გააძლიერონ კონტროლი სამინისტროებში, უწყებებში და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისადმი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მინიჭებული უფლების შესაბამისად მოისმინოს კოლეგიის სხდომებზე სამინისტროების, უწყებებისა და მმართველობის სხვა ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობის საკითხებზე და მისცეს მათ სავალდებულო მითითებანი ამ მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.

5. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მოახსენონ წელიწადში ერთხელ მაინც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობის, საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილი საგვეგმო და საფინანსო დისციპლინის ყველაზე სერიოზული დარღვევების და მიღებული ზომების შესახებ.

6. რჩევა მიეცეთ ცეკავშირის გამგეობასა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებს განსაზღვრონ საქვეუწყებო ორგანიზაციებში საუწყებო კონტროლის განხორციელების წესი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 აპრილის № 325 დადგენილებით დამტკიცებული გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი საუწყებო კონტროლის დებულების შესაბამისად.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 ოქტომბრის № 537 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საუწყებო კონტროლისა და სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების შესახებ“;

— მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილებისა „ცხოველდამზადების“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1946-1947 წლების მუშაობის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 იანვრის № 116 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი სასწავლო-აღმზრდელობითი და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნჯარია**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 21 დეკემბერი, № 262

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დადგენილება № 325

1981 წლის 2 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

სამინისტროებში, უწყებებში და მმართველობის სხვა ორგანოებში
საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ გავრთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებაში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

სამინისტროთა, უწყებათა და მმართველობის სხვა ორგანოთა მიერ ჩატარებული რევიზიები და შემოწმებები ჯერ კიდევ ნაკლებეფექტიანია და სრულად არ შეესაბამება სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, უყიარათობის თავიდან აცილებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. რევიზიები და შემოწმებები ხშირად ზერელე, ფორმალური ხასიათისაა და ჯეროვან შემოქმედებას ვერ ახდენენ გავრთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობე-

სებაზე. მათ, როგორც წესი, არავინ არ უწყევს კოორდინაციას, რაც წარმოშობს პარალელიზმსა და დუბლირებას მუშაობაში.

ითვალისწინებს რა, რომ კონტროლის გაძლიერება ქვეყნის ეკონომიკის მართვის სრულყოფის განუყოფელი ნაწილია, და სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

ა) განიხილონ საუწყებო კონტროლის მდგომარეობის საკითხი, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ამ საქმეში და მიიღონ ზომები ჩატარებულ რევიზიათა და შემოწმებათა ეფექტიანობისა და ქმედითობის ასამაღლებლად, აგრეთვე ამ კონტროლის განხორციელების კოორდინაციის გასაძლიერებლად;

ბ) უზრუნველყონ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ხარისხიანად ჩატარება, ამასთან დაეყრდნონ შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს, ჩააბან ამ მუშაობაში წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის, ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ეკონომიკის სხვა საკითხების კარგად მცოდნე სპეციალისტები. დროულად განიხილონ რევიზიათა და შემოწმებათა მასალები, მიიღონ საჭირო ზომები ბოროტმოქმედებათა, დატაცებათა, უყაირათობისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევათა თითოეული ფაქტის გამო;

გ) გააუმჯობესონ მუშაობა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებისათვის კადრების შესარჩევად და მოსამზადებლად, განამტკიცონ ისინი კვალიფიციური სპეციალისტებით, უზრუნველყონ ამ მუშაკთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გარდაიქმნას (ან შეიქმნას) სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოთა (განყოფილებათა) და მმართველობის სხვა ორგანოთა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები დამოუკიდებელი სტრუქტურულ ქვედანაყოფებად (სამმართველოებად, განყოფილებებად, ჯგუფებად), ამასთან ისინი დაექვემდებარონ აღნიშნულ ორგანოთა ხელმძღვანელებს.

აღნიშნული ქვედანაყოფები გარდაიქმნას (ან შეიქმნას) შესაბამისი სამინისტროს, უწყების ცენტრალური აპარატის ან მმართველობის სხვა ორგანოს აპარატის მუშაკთა რიცხოვნობისა და მათი შენახვის ასიგნებათა ფარგლებში.

საჭირო შემთხვევებში აღნიშნული ქვედანაყოფები შეიძლება ცენტრალიზებულ იქნენ შესაბამისი სამინისტროს, უწყების ან მმართველობის სხვა ორგანოს ერთიან საკონტროლო-სარევიზიო სამსახურად და მას დაეკისროს საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარების მოვალეობანი.



3. დაწესდეს, რომ სამინისტროს ან უწყების საკონტროლო-სარევიზიო-დასაყრდენელს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი ან უწყების ხელმძღვანელი, ხოლო მმართველობის სხვა ორგანოს საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფის ხელმძღვანელს — შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაცია ამ ორგანოს ხელმძღვანელისა და ზემდგომი ორგანიზაციის საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის ხელმძღვანელის წარდგენით რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიყვანონ მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოთა (განყოფილებათა) უფროსები აღნიშნულ ორგანოთა კოლეგიების (კომიტეტების) შემადგენლობაში.
4. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებმა და ადგილობრივმა საფინანსო ორგანოებმა გააძლიერონ კონტროლი სამინისტროებში, უწყებებში და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისადმი.
- უფლება მიეცეთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს მოისმინონ ფინანსთა სამინისტროების კოლეგიათა სხდომებზე შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და მმართველობის სხვა ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობის საკითხებზე და მისცენ მათ სავალდებულო მითითებანი ამ მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.
5. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოახსენონ წელიწადში ერთხელ მაინც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობის, საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილი საგეგმო და საფინანსო დისციპლინის ყველაზე სერიოზული დარღვევების და მიღებული ზომების შესახებ.
6. დამტკიცდეს თანდართული დებულება გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი საუწყებო კონტროლის შესახებ.
7. რჩევა მიეცეთ „ცენტროსოიუზის“ გამგეობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებს განსაზღვრონ საქვეუწყებო ორგანიზაციებში საუწყებო კონტროლის განხორციელების წესი ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.
8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
 წლის 2 აპრილის № 325 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი საუწყებო კონტროლის შესახებ

1. საუწყებო კონტროლის ძირითადი ამოცანებია კონტროლის განხორციელება საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიური გამოყენებისადმი, სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი, საბუღალტრო აღრიცხვის სწორი დაყენებისადმი, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისადმი; აგრეთვე წამატებათა, უყარათობის, მფლანგველობის და ყოველგვარ ზედმეტობათა ფაქტების აღკვეთა.

2. სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი საუწყებო კონტროლის ორგანიზაცია და განხორციელება ეკისრებათ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და მმართველობის სხვა ორგანოებს.

3. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებსა და შემოწმებებს ახორციელებენ:

ა) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფები — მათს მთავარ სამმართველოებში (სამმართველოებში), სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ გაერთიანებებში, აგრეთვე ამ სამინისტროებისა და უწყებებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

ბ) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა მთავარი სამმართველოების (სამმართველოების), სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური გაერთიანებების საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფები — მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

გ) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოთა (განყოფილებათა) საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფები — უშუალოდ მათ საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, რევიზიებსა და შემოწმებებს ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკე-



ბის შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო ხურობი.

4. გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებსა და შემოწმებებს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნიშნავს შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი, და ისინი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ტარდება კომპლექსურად ერთხელ წელიწადში, ხოლო სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში — ერთხელ ორ წელიწადში.

სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტროთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ცალკეულ შემთხვევებში ნებას რთავენ ჩატარდეს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ცალკეულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური რევიზიები ერთხელ ორ წელიწადში.

5. საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფები ამოწმებენ:

ა) გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ეკონომიკის მდგომარეობას, დაწესებული საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულებას, სახელმწიფო დისციპლინისა და შესასრულებელი ოპერაციების კანონიერების დაცვას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნებას;

ბ) მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, სამეურნეო ოპერაციების დოკუმენტური გაფორმების დროულობას, შინასამეურნეო რეზერვების გამოვლენისა და მობილიზაციის სისრულეს, არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების წარმოქმნის მიზეზებს;

გ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების სისწორესა და უტყუარობას, ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებას;

დ) ფასებისა და ტარიფების დადგენისა და გამოყენების მოქმედი წესის დაცვას, აგრეთვე ფასებისა და ტარიფების დადგენის ან გამოყენების მოქმედი წესის დარღვევებს შედეგად მიღებული დამატებითი ამონაგების მთელი თანხის შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში (გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების დაქვემდებარების მიხედვით) შეტანის დროულობას;

ე) წინა რევიზიის ან შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე მიცემული მითითებების შესრულებას.

6. რევიზიათა და შემოწმებათა ჩატარების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია რევიზიის ან შემოწმების დამნიშნელი ორგანოს ხელმძღვანელის ნებართვით.

7. რევიზიის ან შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერენ სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელი (რევიზორი), იმ გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი, სადაც ტარდებოდა რევიზია ან შემოწმება.

თუ გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელი ან მთავარი ბუღალტერი არ ეთანხმება ან აქვს შენიშვნა რევიზიის ან შემოწმების აქტის გამო, მან ხელი უნდა მოაწეროს აქტს და ამავე დროს თან დაუტოს მას თავისი წერილობითი მოსაზრებანი ან შენიშვნები.

8. იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება რევიზიის ან შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევათა ან ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა, რევიზიის ან შემოწმების მსვლელობაში დგება ცალკე (შუალედური) აქტი, ხოლო რევიზიის ან შემოწმების მასალები ეგზავნება რევიზიის ან შემოწმების დამნიშნელ ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელს, ამასთან შესაბამისი მასალები გადაეცემათ საგამომძიებლო ორგანოებს. გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელი მოვალეა მიიღოს ზომები გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, ამასთან არ დაელოდოს რევიზიის ან შემოწმების დამთავრებას, რის შესახებაც შესაბამისი ჩანაწერი შეიტანება რევიზიის აქტში.

9. რევიზიის ან შემოწმების დამნიშნელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოვალეა არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში განიხილოს რევიზიის ან შემოწმების შედეგები და მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად და მათი თავიდან აცილებისათვის საჭირო წინადადებათა შესამუშავებლად, აგრეთვე უზრუნველყოს კონტროლი რევიზიის ან შემოწმების შედეგების მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

10. რევიზორს უფლება აქვს:

შეამოწმოს გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გეგმები, ხარჯთაღრიცხვები, ფულადი, საბუღალტრო და სხვა დოკუმენტები, ფულისა და ფასეულობათა არსებობა, ხოლო სიყალბის, თაღლითობისა და სხვა ბოროტმოქმედებათა გამოვლენისას ამოიღოს დადგენილი წესით საჭირო დოკუმენტები;

შეამოწმოს ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერჯისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა წარმოების ხარჯებში ჩამოწერის სისწორე, მზა პროდუქციის შემოსავალში შეტანის სისრულე და მოსთხოვოს იმ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, სადაც რევიზია ტარდება, განახორციელონ შესრულებულ სამუშაოთა საკონტროლო გაზომვა;

მოითხოვოს ძირითადი ფონდების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორების ინვენტარიზაციის ჩატარება, საჭირო შემთხვევებში დალუქოს საღაროები და საღაროს სადგომები, საწყობები, საკუჭნაოები, არქივები;

მიიღოს სხვა გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან ცნობები და იმ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა



და დაწესებულებათა ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტების სადაც ტარდება რევიზია;

მიიღოს თანამდებობის პირთაგან წერილობითი ახსნა-განმარტებანი რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარების მსვლელობაში წამოჭრილ საკითხებზე.

11. რევიზორი მოვალეა:

მტკიცედ იხელმძღვანელოს თავის მუშაობაში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით;

რევიზიათა და შემოწმებათა ჩატარებისას დაეყრდნოს შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის ორგანოებს;

მიიღოს მონაწილეობა რევიზიებისა და შემოწმებების შედეგად გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, მათ მიერ სახელმწიფო დისციპლინის, დაცვისადმი და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისადმი კონტროლის გასაძლიერებლად წინადადებათა შემუშავებაში.

12. გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ორგანიზაცია და ჩატარების წესი განისაზღვრება ინსტრუქციებით, რომელთაც ამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები — ამ რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებით, თუ სხვა წესი არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

13. რევიზიათა და შემოწმებათა აქტები წარედგინებათ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს და ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს მათი მოთხოვნით.

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 აპრილის № 325 დადგენილებით

ს ს ს ს ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაქარგული გადაწვევითილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 აპრილის № 708 დადგენილება „დაწესებულებათა, საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და მშენებლობათა შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტური რევიზიის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1936 წ., № 22, მუხ. 202).

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 16 ივნისის № 11858 განკარგულება.

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 9 ივნისის № 1346 დადგენილება „ქვეანაზღირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის დაფარვის შესახებ“.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 21 ივნისის № 1444 დადგენილება „სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1944 წლის საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ“.

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 21 ივნისის № 1445-328 დადგენილება.

6. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 26 ივნისის № 1504 დადგენილება „ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ“.

7. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 8 აგვისტოს № 2023 დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარნავთობმომარაგების 1944 წლის საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ“.

8. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 23 იანვრის № 150 დადგენილება „სსრ კავშირის 1946 წლის პირველი კვარტალის საკავშირო ბიუჯეტის შესახებ“.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 10 დეკემბრის № 3978 დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საცხოველ-კანტორის სისტემაში პირუტყვის მასობრივი განიავებისა და სადამზადებლო-საგამსაღებლო მუშაობაში დამახინჯებათა შესახებ“.

10. მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 23 აგვისტოს № 3135 დადგენილებისა „საბავშვო სახლებში ბავშვთა მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 15 ოქტომბრის № 4792 დადგენილება „სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზო აპარატის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 26 ნოემბრის № 4857 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი სასწავლო-აღმზრდელითი და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 12 ივლისის № 3137 დადგენილება „სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოების მიერ კანონთა და მთავრობის დადგენილებათა დარღვევის ფაქტების შესახებ“.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 სექტემბრის № 1250 დადგენილება „სავაჭრო საწარმოებში საქონლის ინვენტარიზაციისა და ორგანიზაციათა დოკუმენტური რევიზიის ჩატარების ვადების შესახებ“.



85. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 12 ივნისის № 384 დადგენილება „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დებულების, მასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულებისა და ამ საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ნ. ზითანაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ბ. სუწარია.

ქ თბილისი, 1981 წ. 21 დეკემბერი, № 863

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 21 დეკემბრის № 863
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს (საქმთავარძეგლდაცვა) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, შემდგომში „მთავარ სამმართველოდ“ წოდებული, საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა აღრიცხვის, კონსერვაციის, რესტავრაციისა და მათი გამოყენებისადმი ხელმძღვანელობის ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საწარმოო-სამეურნეო კომპლექსია.

2. მთავარი სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. მთავარი სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მმართველობის სხვა სახელმწიფო ორგანოების დადგენილებებით და ამ დებულებით.

4. მთავარი სამმართველო იურიდიული პირია და თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

5. მთავარი სამმართველოს გამგებლობაში შედიან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, აგრეთვე დამოუკიდებელი ორგანიზაციები: სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება, ძეგლთა ფიქსაციის სპეცლაბორატორია და მუზეუმ-ნაყრძალები.

6. მთავარი სამმართველო დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიმართ მოქმედებს როგორც მმართველობის ზემდგომი სამეურნეო და სამეცნიერო ორგანო.

7. მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) შეასრულოს ისტორიის, არქიტექტურის, ქალაქთმშენებლობისა და ბუნების ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კომპლექსებში შემაჯავლი მონუმენტური ფერწერის, ქანდაკებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რესტავრაციისა და აღდგენის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საწარმოო სამუშაოები;

ბ) შეიმუშაოს და დანერგოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა შენარჩუნების, რესტავრაციისა და გამოყენების სამუშაოთა კვლევის, დაბროექტებისა და წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი მეთოდები;

გ) განახორციელოს ბუნების, არქიტექტურის, ქალაქთმშენებლობის, არქეოლოგიის, მონუმენტური ფერწერის, ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების ძეგლთა გამოვლენა, ფიქსაცია, აღრიცხვა და რეგისტრაცია;

დ) ყოველმხრივ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და წარმოების, მეცნიერული გამოკვლევებისა და ტექნიკური ნამუშევრების ეფექტიანობა წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, სარესტავრაციო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების, სარესტავრაციო საქმის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის საფუძველზე;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშაობას სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოთა შესრულების თაობაზე საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა დასაღებად;

ვ) უზრუნველყოს სარესტავრაციო ობიექტების კომპლექსური მომარაგება საჭირო მასალებით, სატრანსპორტო საშუალებებით, მექანიზმებითა და მოწყობილობით;

ზ) მოაწყოს მუშაობა რესტავრაციის დარგის სპეციალისტთა, გარკვეული სპეციალობების მუშა-რესტავრატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, უზრუნველყოს სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო ორგანიზაციებში უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლისათვის საჭირო პირობები;

თ) უზრუნველყოს სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება, განახორციელოს მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებანი;

ი) გააუმჯობესოს მთავარი სამმართველოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები, შექმნას შრომის ყველაზე ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობები.

8. მთავარი სამმართველო როგორც ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის დარგში მთავარი ორგანიზაცია:

ა) შეიმუშავეს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს ძეგლთა რესტავრაციისა და ადაპტაციის საქმეში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად;

ბ) კოორდინაციას უწევს მეცნიერულ სამუშაოებს, რომელთაც ახორციელებენ ძეგლთა რესტავრაციისა და ადაპტაციის ორგანიზაციები;

გ) ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო, საპროექტო და საწარმოო ორგანიზაციებთან ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა შენარჩუნების, რესტავრაციისა და გამოყენების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის მიზნით;

დ) ხელმძღვანელობს მუზეუმ-ძეგლებსა და მუზეუმ-ნაკრძალებს ძეგლთა დაცვის საქმისა და მათი სამუზეუმო საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით;

ე) აწესებს ძეგლთა დაცვის ზონებს და აღრიცხულ ძეგლებს გადასცემს მოვლა-პატრონობისათვის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს;

ვ) განიხილავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან შემოსულ წინადადებებს ძეგლთა მდგომარეობის შესახებ, სახავს და ახორციელებს ღონისძიებებს მათი დაცვისა და გამოყენებისათვის;

ზ) ამოწმებს ძეგლთა დაცვის ადგილობრივი ორგანოების და სხვა ორგანიზაციების ძეგლებთან დაკავშირებულ საქმიანობას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

თ) აღრიცხავს სხვა უწყებათა მიერ მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებულ ძეგლებს და შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე გადასცემს ძეგლებს იჯარით ან დასაცავად;

ი) ახორციელებს ძეგლთა უშუალო დაცვას მის მიერ დადგენილ ობიექტებზე, ხოლო მცველთა დანიშნასა და მათი მუშაობისადმი კონტროლს — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მეშვეობით;

კ) წარუდგენს შესაბამის ორგანოებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შედგენისას, სადაც არსებობს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები;

ლ) აწესებს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა გარემომცველი ლანდშაფტების დაცვის ზონებს;

მ) ცალკეულ შემთხვევებში ნებას რთავს გარეშე ორგანიზაციებს შეასრულონ ძეგლთა სარემონტო სამუშაოები მთავარი სამმართველოს წარმომადგენელთა მეთვალყურეობით;

ნ) უზღავნის ადმინისტრაციულ ორგანოებს მასალებს იმ პირობა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის საქმის აღსაძვრელად, რომელთაც დანაშაული მიუძღვით კულტურის ძეგლების ან დაცული ბუნების ობიექტების თვითნებურად გამოყენებაში, დაზიანებაში ან განადგურებაში.

9. მთავარი ამოცანების შესაბამისად მთავარ სამმართველოს ეკისრება:

ბ. სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო სამუშაოთა დარგში

ა) შეისწავლოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შექმნის ტექნიკა სარესტავრაციო სამუშაოების ტექნიკურ შესაძლებლობათა გაფართოებისა და მეთოდების სრულყოფის მიზნით;

ბ) ყოველმხრივ გამოიკვლიოს ძეგლები ნატურაში, შეისწავლოს მათი შექმნის ისტორია, წინანდელი რესტავრაციები, ცვლილებანი და გადაკეთებანი საარქივო და ლიტერატურული წყაროების მიხედვით;

გ) შეიმუშაოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის მეცნიერულად დასაბუთებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; შეიმუშაოს თანამედროვე მიზნებისათვის ცალკეულ ძეგლთა გამოყენების პროექტები, მიუხედავად სარესტავრაციო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

დ) დააკომპლექტოს სამეცნიერო-ტექნიკური არქივი, ფოტოთეკა, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, შექმნას ქალაქებსა და სოფლებში რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის პროცესში შეკრებილი საშენი მასალების, ფრაგმენტებისა და დეტალების სპეციალური ფონდი;

ე) მოამზადოს და ჩაატაროს კონფერენციები, თათბირები, სემინარები ძეგლთა დაცვის, რესტავრაციისა და ადაპტაციის აქტუალურ საკითხებზე;

ვ) შეიმუშაოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა კეთილმოწყობის პროექტები;

ზ) განახორციელოს მეცნიერულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოებისადმი, რაც შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სრულდება;

თ) განახორციელოს პროექტების ექსპერტიზა, ამასთან პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის განსახორციელებლად მიიწვიოს სპეციალისტები, რომელთა შრომა ნაზღაურდება დადგენილი წესით;

ი) განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა სარესტავრაციო ადაპტაციო ძეგლებისადმი; აგრეთვე მიიღოს ძეგლთა დამთავრებული სარემონტო სამუშაოები მიმღები კომისიების მიერ.

ბ. სამეცნიერო-სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოების დარგში

ა) შეასრულოს ისტორიის, არქიტექტურის, ქალაქმშენებლობის, მონუმენტური ფერწერის, ქანდაკებისა და ბუნების ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის სამუშაოთა კომპლექსი, აგრეთვე შეასრულოს სამუშაოები თანამედროვე მიზნებისათვის ძეგლთა გამოსაყენებლად;

ბ) შეასრულოს ექსპერიმენტული სამუშაოები სარესტავრაციო წარმოების ახალი მეთოდების დასანერგად, აგრეთვე ძეგლებზე საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის სამუშაოები.

10. მთავარი სამმართველოს სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. მთავარი სამმართველოს საშტატო განრიგს ამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი.

12. მთავარი სამმართველოსადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს მმართველობის აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას მთავარი სამმართველოს უფროსი, რომელიც მოქმედებს ერთმმართველობის საფუძველზე, ამასთან უმნიშვნელოვანეს საწარმოო-სამეურნეო საკითხთა განხილვასა და განხორციელებაში აბამს ფართო საზოგადოებრიობას.

13. მთავარი სამმართველოს უფროსს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. მთავარი სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

15. მთავარი სამმართველოს უფროსის ძირითადი უფლებები:

ა) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

ბ) შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან მთავარი სამმართველოს მუშაკებს;

გ) აუქმებს მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს აღნიშნული ბრძანებების შეცვლის შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას;

დ) ხსნის დადგენილი წესით ბანკების დაწესებულებებში ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშებს და ასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს;

ე) ჩამოსწერს დადგენილი წესით მთავარი სამმართველოს ბალანსიდან მორალურად მოქველებულ, შემდგომი გამოყენებისათვის უვარგის მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ინვენტარსა და ინსტრუმენტებს;

ვ) განიხილავს და ამტკიცებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს; ახორციელებს საფინანსო კონტროლს და ატარებს ამ ორგანიზაციების რევიზიას;

ზ) დებს მთავარი სამმართველოს ორგანიზაციების მიერ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, აგრეთვე საგეგმო დავალებების შესრულებისათვის საქირო სამეურნეო ხელშეკრულებებს;

თ) წარმოადგენს ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აგრეთვე სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში;

ი) უწყებს ხელფასის დანამატებს მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და სხვა სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ, ამასთან ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1058 დადგენილების მე-7 პუნქტით;

კ) ამტკიცებს მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციათა საგეგმო დავალებებს;

ლ) განსაზღვრავს თავის მოადგილეთა და მთავარი სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა ფუნქციებს.

16. უფროსის მოადგილეები თავიანთი ფუნქციის ფარგლებში მოქმედებენ მინდობილობის გარეშე, წარმოადგენენ რა მთავარი სამმართველოს ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ასრულებენ სამეურნეო ოპერაციებს და დებენ ხელშეკრულებებს, აგრეთვე აღევენ მინდობილობებს მთავარი სამმართველოს უფლებამოსილ მუშაკებს.

17. მთავარ სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მთავარი სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით) და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები.

18. კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

19. მთავარი სამმართველოს კოლეგია ისმენს და განიხილავს: სარესტავრაციო სამუშაოთა მიმდინარეობასთან და ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა დოკუმენტების პროექტებს, საქვეუწყებო ორგანიზაციათა მოხსენებებსა და ანგარიშებს და სხვა საკითხებს, მისი ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად.

20. კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. უფროსსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან ამის შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ თავის მხრივ შეატყობინონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

21. ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საკითხების, სარესტავრაციო სამუშაოთა ხარისხის ამაღლების, მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდების შემუშავებისა და სარესტავრაციო პრაქტიკაში დანერგვის საკითხთა განსახილველად და ძეგლთა რესტავრაციის საქმეში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისადმი კონტროლის გასაწევად მთავარ სამმარ-

თველოსთან იქმნება საზოგადოებრივ საწყისებზე სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელსაც აქვს სექციები ძეგლთა რესტავრაციის სახეობების მიხედვით.

22. სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს მთავარი სამმართველო.

23. ძეგლთა კონსერვაციასთან, რესტავრაციასთან და თანამედროვე მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს ასრულებს მთავარი სამმართველო შემკვეთებთან დადებულ საიჯარო ხელშეკრულებათა და გენ-მოიჯარეებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

24. მთავარი სამმართველოს აპარატი ორგანიზაციას უწევს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა დადებას სამეცნიერო-სარესტავრაციო სამუშაოთა შესასრულებლად, ახორციელებს კონტროლს ხელშეკრულებათა დროულად გაფორმებისა და დადებისადმი და მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საქვეუწყებო სამეურნეო ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით ამ სამმართველოსათვის გათვალისწინებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

26. მთავარი სამმართველოს სახსრებს ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის და აპარატის შენახვისათვის შეადგენს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების მე-11 პუნქტის შესაბამისად გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებანი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიერ გამოყოფილი სახსრები, ძეგლებით სარგებლობის საიჯარო ქირა, ძეგლების დათვალიერებით მიღებული შემოსავალი.

27. მთავარი სამმართველოს ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი სახსრები, ფონდები და სხვა ქონება, რომელიც მიჩენილი აქვთ მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს.

28. მთავარი სამმართველოს ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე.

29. მთავარ სამმართველოს აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის დღის № 505 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„რესპუბლიკაში მძღოლთა კადრების მომზადების სისტემის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 505 დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. დაეკისროთ რესპუბლიკაში ყველა კატეგორიის მძღოლთა კადრების მომზადების ორგანიზაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (უფასოდ), საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს (უფასოდ) და საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს (სწავლის ფულით), ამასთან შეუნარჩუნდეს შესაბამისი ფუნქციები მხოლოდ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკუთარი საჭიროებისათვის „ვს“ და „დ“ კატეგორიების მძღოლთა მომზადების ნაწილში სწავლის ფულის გარეშე და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად ავტოსაქმეში სტუდენტთა უფასოდ მომზადების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 28 დეკემბერი, № 881

87 მოსახლეობაში მინის ტარის შეგროვების ორგანიზაციის გა- უმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

მოსახლეობაში მინის ტარის შეგროვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი ხელახალი გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ქობლანიძე), საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ჯაბადარი), ცეკავშირის გამგეობას (ამხ. შაიშვილი), მუშათა მომარაგების სამმართველოებსა და განყოფილებებს უზრუნველყონ მოსახლეობისაგან ყოველგვარი მინის ტარის შეუზღუდავი მიღება ყველა მიმღები პუნქტის, აგრეთვე იმ მაღაზიების მიერ, სადაც იყიდება კონსერვები მინის ტარით, ღვინო, ლიქიორ-



არაყის ნაწარმი, მინერალური წყლები, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მარეული ზეთი, რძის პროდუქტები და მაიონეზი, მოაწყონ მოსახლეობისაგან მინის ტარის მიღება მაღაზიების მუშაობის მთელი დროის განმავლობაში.

2. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ახორციელებენ მინის ტარის მიღებას:

— მოყოლებული 1982 წლის იანვრიდან, დანერგონ ექსპერიმენტის წესით ერთი წლის ვადით მიმღები პუნქტების მუშაობა და ბინაზე მინის ტარის შემგროვებელთა შრომის სანარდო ანაზღაურება — 7 მანეთი 1 ათასი ერთეული მინის ტარის შეგროვებისა და ამავე დროს ამ ტარის ავტოტრანსპორტზე დატვირთვის ოპერაციების შესრულებისათვის;

— სასურსათო მაღაზიების გამყიდველებს, რომლებიც ახორციელებენ მინის ტარის მიღებას უშუალოდ სამუშაო ადგილებზე, მისცენ დანამატი ძირითად ხელფასზე 1 ათასი ერთეული მიღებული მინის ტარისათვის 2 მანეთის ოდენობით.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ (ამხ. დავითაშვილი):

— გამოუყოს სავაჭრო ორგანიზაციებს მიზნობრივი დანიშნულებით სატვირთო ავტომობილები ბინაზე მოსახლეობისაგან მინის ტარის შესაგროვებლად, მათ შორის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს ყოველდღიურად არანაკლებ 30 ავტომობილი;

— უზრუნველყოს სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადების მიხედვით მინის ტარის დროულად გაზიდვა სავაჭრო ქსელიდან და მიმღები პუნქტებიდან.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მიმღები პუნქტების გახსნა, იმ ვარაუდით, რომ მათი რაოდენობა 1985 წელს აიყვანონ გაანგარიშებულ ნორმატივებამდე, მათ შორის 1982 წელს ქალაქ თბილისში გახსნან 15-20 ტიპობრივი მიმღები პუნქტი საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 5-პროცენტის ანარციებისა და ქალაქის სამრეწველო საწარმოთა სახსრების ხარჯზე.

5. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ (ამხ. ბუაძე) გამოუყოს 1982 წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 100 მოტოროლერი მინის ტარის შესაგროვებლად და ცეკავშირის გამგეობას — 50.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებას „სამტრესტს“, თბილისის ცხიმკომბინატსა და თბილისის რძის ქარხანას 10 დღის ვადაში უზრუნველყონ მთელი დაგროვილი მინის ტარის გაზიდვა სავაჭრო საწარმოთა მიმღები პუნქტებიდან.

7. მინის ტარის უფრო რაციონალური გამოყენებისათვის დაევალოს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებას „სამტრესტს“ განმეორებით გამოიყენოს შამპანური ღვინოების მინის ტარა.

8. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, თბილისის ცხიმკომბინატი შეუფერხებლად მიიღებენ სავაჭრო ქსელიდან გაზიდულ და მოსახლეობისაგან ბინაზე შეგროვებულ შესაბამისი ნომენკლატურის მინისტრას.

9. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა (ამხ. მელქაძე) მკაცრი მსჯელობის საგანი გახადოს მინისტრის არადროული გაზიდვისა და მიღების თითოეული გამოვლენილი ფაქტი და დააკისროს პასუხისმგებლობა დამნაშავე პირებს.

10. რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გამოავლინონ და სისტემატურად გააშუქონ მოსახლეობაში მინისტრის შეგროვების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 28 დეკემბერი, № 883

88 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის დეპუტატების შეხსახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:
 დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 28 დეკემბერი, № 884



დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია ექვემდებარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აქვს დამოუკიდებელი სამმართველოს უფლებები.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული სხვა ნორმატიული აქტებით.

3. სახელმწიფო ინსპექტირებას ახორციელებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია და მისდამი დაქვემდებარებული აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო (რაიონული, საქალაქო) ინსპექციების შექმნა და გაუქმება, მათი სტრუქტურის, საშუალო ერთეულებისა და თანამდებობრივი განაკვეთების დამტკიცება (არსებული დებულების გათვალისწინებით) ხორციელდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ძირითადი ამოცანაა განახორციელოს კონტროლი, რომ ზუსტად იცავდნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და მრავალწლიანი კულტურების სათესლე და სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, დამზადებული სათესლე და სარგავ

მასალის შენახვის, დასარგავად მომზადების, თესვის, რვეისა და ამ მასალის რეალიზაციის წესებს.

5. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოების განკარგულებები და მითითებები მათთვის დაკისრებული ფუნქციებისა და მინიჭებული უფლებების ფარგლებში სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის მწარმოებელი, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის, ხოლო ინსპექციების მიერ გაცემული განკარგულებებისა და მითითებების შეუსრულებლობისათვის უშუალოდ პასუხს აგებენ მეურნეობათა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები;

6. სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს უფლება აქვთ:

— სისტემატურად გამოიკვლიონ და შეამოწმონ როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს პურის მიმღებ საწარმოებსა და ყველა სხვა სამინისტროსა და უწყების სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში;

— სისტემატურად და დაუბრკოლებლად შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციები მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების ბრძანებებს მეთესლეობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წინადადებანი შეიტანონ ზემდგომ ორგანოებში;

— კონტროლი გაუწიონ ყველა სახის აგროღონისძიების დადგენილ ვადებში და ხარისხიანად განხორციელებას შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს ინსპექტირების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებანი, აგრეთვე მათი გამოსწორების წინადადებანი;

— შეამოწმონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების ნათესი და ნარგავი ფართობები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სათესლე ნაკვეთებსა და სანერგეებში ყველა საჭირო და დამატებით აგროღონისძიებათა ვადების დაცვასა და ხარისხს, საწყობების, თესლეულისა და სარგავი მასალის შესანახ სათავსების, თესლასწმენდი, თესლეულის დამხარისხებელი და დამყალიბებელი ტექნიკის მზადყოფნის მდგომარეობას, ამ ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენებასა და სხვ.;

— მოსთხოვონ მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ინსპექტირების დროს ყველა საჭირო აგრონომიული და საბუღალტრო დოკუმენტაცია წარმოებულ, შექმნილი, შენახული, დახარჯული და

რეალიზებული სათესლე და სარგავი მასალის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ;

— რეგულარულად და დაუბრკოლებლად გააანალიზონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი;

— დასვან ხელმძღვანელ ორგანოებში იმ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი (სამი დღის ვადაში), ვინც დაარღვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და გამოყენების დადგენილი წესები, ან გამოიყენა უკონდიციო (არასტანდარტული), შეუმოწმებელი და დაუმუშავებელი (შეუწამლავი) თესლეული და სარგავი მასალა;

— გადაჭრით აღკვეთონ მეურნეობებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში სათესლე და სარგავი მასალის შენახვა შეუფერებელ საწყობებში და მათი ტრანსპორტირება უწყისივრო სატრანსპორტო საშუალებებით;

— მისცენ მითითებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, დამამზადებელი და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაამზადონ მაღალპროდუქტიული და მაღალხარისხოვანი თესლეული და სარგავი მასალა, გულდასმით მოამზადონ დასათესად და დასარგავად, შეინახონ სათანადო პირობებში და დადგენილი წესების სრული შესაბამისობით მოახდინონ მათი რეალიზაცია.

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია კრძალავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების შეუმოწმებელი ან უკონდიციო თესლეულისა და სარგავი მასალის რეალიზაციასა და მის გამოყენებას;

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ვარგისიანობის (ხარისხის) შესახებ დოკუმენტების გაცემის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციებს.

7. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის უფროსი:

ა) ემორჩილება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიას, მინისტრს, მინისტრის მოადგილეს ამ დარგში, აგრეთვე (მეთოდურ საკითხებში) — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს;

ბ) ხელმძღვანელობს გეგმით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრთან (ან მინისტრის მოადგილესთან) და დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ;

ბ) კანონით დადგენილი წესით განაგებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციებისადმი დაქვემდებარებული ინსპექციების ქონებას, ახორციელებს სსრ კავშირის სახბანკში ყველა ოპერაციას, მათ შორის ხსნის და ხურავს საანგარიშგებო და მიმდინარე ანგარიშებს, ხელს აწერს ბანკის ჩეკს და სავალდებულო და ვალდებებს, იღებს ვალდებულებებს;

დ) აუქმებს და ცვლის დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა მიერ მიცემულ მცდარ მითითებებსა და წინადადებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, გადამუშავებისა და ხარისხიანობის თაობაზე, აუქმებს აგრეთვე მათ მიერ არასწორად გაცემულ დოკუმენტებს;

ე) აფორმებს სათანადო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციისათვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

ვ) წარმომადგენლობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის სახელით ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულება-სა და ორგანიზაციაში, მათ შორის სასამართლო ორგანოებში, სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟში.

8. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, მისი მოადგილეები და მთავარი ბუღალტერი ინიშნებიან და თავისუფლდებიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით, ხოლო დანარჩენი მუშაკები — რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის ბრძანებით.

9. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია:

— ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების წლიურ სამუშაო გეგმებსა და საწარმოო ანგარიშებს, ამოწმებს დაქვემდებარებული ინსპექციების მუშაობას; პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას უწევს მათ მუშაობის სწორად წარმართვაში, ზრუნავს თესლეულის თესვის ხარისხის ანალიზის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასაწერგავად;

— ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს, რომ ზუსტად იცავდნენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციები თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის ყველა მეთოდს;

— ახორციელებს ღონისძიებებს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების სრულყოფისათვის, ახალი ხელსაწყოების გამოცდისა და წარმოებაში მათი ფართოდ დანერგვისათვის;

— ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხე-

ლმძღვანელი კადრების, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოსთან ერთად;

— პერიოდულად შეისწავლის, განაზოგადებს და დანერგავს სახელმწიფო ინსპექციების მოწინავე გამოცდილებას, განიხილავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სრულყოფისათვის წარმოდგენილ რაციონალიზატორულ წინადადებებს და გასცემს სათანადო დასკვნებს; დახმარებას გაუწევს მეურნეობებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მუშაკებს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის გამოკვლევის მეთოდისა და დოკუმენტაციის შედგენაში;

— შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების ქსელის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

— ატარებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულის საარბიტრაჟო, საკონტროლო, შედარებით, აგრეთვე განსაკუთრებით რთულ ანალიზებს, სასამართლო ექსპერტიზებს.

10. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები ექვემდებარებიან თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას და სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან.

11. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსები ინიშნებიან და თავისუფლდებიან რესპუბლიკური ინსპექციის წარდგინებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით.

12. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების უფროსები და აგრონომები ინიშნებიან და თავისუფლდებიან ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ინსპექციების წარდგინებით რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის ბრძანებით, ხოლო ყველა დანარჩენი თანამშრომელი ინიშნება და თავისუფლდება შესაბამისი ინსპექციის უფროსის ბრძანებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმების შემდეგ.

13. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების უფროსებად და აგრონომებად ინიშნებიან მხოლოდ შესაბამისი უმაღლესი განათლების, ხოლო ტექნიკოს-ლაბორანტებად საშუალო აგრონომიული განათლების მქონე პირები.

14. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეუ-

ლისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები ხელმძღვანელებს ლობენ გეგმით, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან და სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან და დამტკიცებულია თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მიერ.

15. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები:

— უწევენ მეთოდურ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას მათ დაქვემდებარებაში მყოფ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების მუშაობას;

— განსაზღვრავენ ყველა არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს მომსახურების ზონაში განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა, დამამზადებელ და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში და აფორმებენ სათანადო დოკუმენტაციას;

— დამტკიცებული გეგმის თანახმად უწევენ კონტროლს, რომ რეგიონის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი მეურნეობები და დამამზადებელი ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის სახელმწიფო სტანდარტებს, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები, სასწავლო-საცდელი მეურნეობები — კოლმეურნეობებისათვის და საბჭოთა მეურნეობებისათვის ჯიშთაცვლისა და ჯიშთაგანახლების მიზნით მისაყიდი მაღალი რეპროდუქციის თესლეულის დადგენილ ხარისხს;

— ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანოებთან ერთად მონაწილეობენ შემცენარების პროდუქტების წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში და ამ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფენ სათანადო კონტროლს, შემუშავებულ ღონისძიებათა დროულად და ხარისხიანად განხორციელებისადმი;

— აყენებენ შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის წინაშე იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთა უმოქმედობის ან დაუდევრობის შედეგად გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი;

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მითითებით მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ახალი სტანდარტებისა და სხვა დოკუმენტაციის პროექტების, მოქმედი სტანდარტებისა და დოკუმენტების დაზუსტება-შემუშავებაში, თესლეულისა და სარგავი მასალის დასათესად და დასარგავად მომზადებისა და მათი შენახვის, შესანახი დოკუმენტების გაფორმების წესებისა და რეკომენდაციების შედგენა-შემუშავებაში.

16. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად:

— განიხილავენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების წლიურ სამუშაო გეგმებს და საწარმოო ანგარიშებს, უწევენ კონტროლს, პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას, დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაობას, ეხმარებიან მათ მუშაობის სწორად ორგანიზაციაში; ნერგავენ თესლის ხარისხის ანალიზის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეთოდებს;

— ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ, რომ ზუსტად იცავდნენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციები თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის ყველა მეთოდს;

— ორგანიზაციას უწევენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მითითების შესაბამისად;

— ნერგავენ სახელმწიფო ინსპექციების მოწინავე გამოცდილებას, განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სრულყოფისათვის წარმოდგენილ რაციონალიზატორულ წინადადებებს და იძლევიან სათანადო დასკვნებს რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მოთხოვნით. კონსულტაციას უწევენ მეურნეობებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მუშაკებს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის გამოკვლევის მეთოდისა და დოკუმენტაციის შედგენაში;

— საჭიროების შემთხვევაში სახავენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების ქსელის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

— ატარებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის საკონტროლო, შედარებითს, აგრეთვე განსაკუთრებით რთულ ანალიზებს;

— ეწევიან მუშაობას თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების სრულყოფისათვის, ცდიან ახალ ხელსაწყოებს.

17. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსების განკარგულებაშია კრედიტები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

18. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსებს უფლება ეძლევათ შეცვალონ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა მიერ თესლისა და სარგავი მასალის წარმოების შესახებ არასწორად

მიცემული მითითებები და წინადადებანი, აგრეთვე გააუქმონ ამ მუშაკთა მიერ აღრე გაცემული დოკუმენტები.

19. თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის დაქვემდებარებაში.

20. თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების უფროსები და აგრონომები ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წარდგინებით, ინიშნებიან და თავისუფლდებიან რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის ბრძანებით, ხოლო ყველა დანარჩენი თანამშრომელი ინიშნება და თავისუფლდება შესაბამისი ინსპექციის უფროსის ბრძანებით, რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმების შემდეგ.

21. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციის უფროსად და აგრონომად ინიშნებიან მხოლოდ შესაბამისი აგრონომიული განათლების მქონე პირები.

22. რაიონული (საქალაქო) სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები ხელმძღვანელობენ გეგმით, რომელიც შეთანხმებულია შესაბამისი სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან და დამტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მიერ.

23. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციის უფროსი განაგებს კრედიტებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

24. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები:

— განსაზღვრავენ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, დამამზადებელ და სხვა ორგანიზაციებში არსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს და აფორმებენ სათანადო დოკუმენტაციას;

— სისტემატურად უწევენ კონტროლს, რომ მტკიცედ იცავდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლისა და სარგავი მასალის სახელმწიფო სტანდარტებს მომსახურების ზონის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი მეურნეობები და დამამზადებელი ორგანიზაციები, და მალაზხარისხოვანი იყოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების, სასწავლო-სადედი მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებისათვის და საბჭოთა მეურნეობებისათვის ჯიშთაცვლისა და ჯიშთაგანახლების მიზნით მისაყიდი მალაზრებროდუქციული თესლეული და სხვა;

— მონაწილეობენ მემცენარეობის პროდუქტების წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან ერთად და ამ ორგანოებთან ერთად



უზრუნველყოფენ, რომ დროულად და ხარისხიანად სრულდებოდეს ბული ღონისძიებანი;

— შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებისა და რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის წინაშე აყენებენ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთა უმოქმედობის ან გულგრილობის შედეგად გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი;

— მონაწილეობენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მითითებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ახალი სტანდარტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების, აგრეთვე მოქმედი სტანდარტებისა და დოკუმენტების დაზუსტება-შემუშავებაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის დასათესად და დასარგავად მომზადებისა და მათი შენახვის დოკუმენტების გაფორმების წესებისა და რეკომენდაციების შედგენა-შემუშავებაში;

— წერავენ მოწინავე სახელმწიფო ინსპექციების გამოცდილებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სრულსაყოფად წარმოდგენილ რაციონალიზატორულ წინადადებებს; კონსულტაციას უწევენ მეურნეობებს, ორგანიზაციებს და ცალკეულ მუშაკებს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის გამოკვლევის მეთოდისა და დოკუმენტაციის შედგენაში;

— სახავენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ამალღების ღონისძიებებს რაიონის (ქალაქის) ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

— ეწევიან მუშაობას თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების სრულსაყოფად, ცდიან ახალ ხელსაწყოებს და სხვა;

— კონტროლს უწევენ, რომ დადგენილ ვადებში და ხარისხიანად ხორციელდებოდეს ყველა სახის ღონისძიება მომსახურების ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად; ამ მიზნით რაიონის ხელმძღვანელობას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას წარუდგენენ მასალებს მეურნეობათა ინსპექტირების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესახებ და მათი აღმოფხვრის კონკრეტულ წინადადებებს;

— დაუბრკოლებლად ამოწმებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების ნათეს და ნარგავ ფართობებს; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სათესლე ნაკეთებსა და საწერგებში ყველა საჭირო და დამატებით აგროღონისძიებათა ვადების დაცვასა და ხარისხს; საწყობების, თესლეულისა და სარგავი მასალის შესანახ და სხვა სათავსების, თესლსაწმენდი, თესლეულის დამხარისხებელი და დამყალიბებელი ტექნიკის მზადყოფნის მდგომარეობას; ამ ტექნიკის სრული დატვირთვით მუშაობასა და სხვა;

— მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების ინსპექციებისას სთხოვენ მათს ხელმძღვანელებს ყველა საჭირო აგრონომიულ და საბუღალტრო დოკუმენტაციას წარმოებული; შეძენილი, შენახული, დახარჯული და რეალიზებული სათესლე და სარგავი მასალის რაოდენობისა და ხარისხის, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ, ამასთან რეგულარულად და შეუფერხებლად ანალიზებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხს მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მწარმოებელი და რა დანიშნულებისათვის არის განკუთვნილი;

— ახორციელებენ სათანადო სახელმწიფო კონტროლს იმ ვარაუდით, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე აწარმოებდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულსა და სარგავ მასალას;

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და გამოყენების დადგენილი წესების დარღვევის, აგრეთვე უკონდიციო (არასტანდარტული), შეუღწეველი და შეუწამლავი თესლისა და სარგავი მასალის გამოყენების გამოვლენის შემთხვევაში სამი დღის ვადაში წარუდგენენ ხელმძღვანელ ორგანოებს წინადადებებს, რომლებიც საჭიროა მათი აღმოფხვრისათვის;

— წარუდგენენ ზემდგომ ორგანოებს მამხილებელ მასალებს თესლეულისა და სარგავი მასალის სახელმწიფო სტანდარტების დაუცველობის, უკონდიციო თესლეულით თესვისა და უხარისხო მასალის დარგვის, მისი არასწორი შენახვისა და გაფუჭების, არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ;

— აწესებენ მტკიცე კონტროლს, რომ მეურნეობებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა არ დაუშვან შეუფერხებელი საწყობებისა და უწყისიერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება სათესლე და სარგავი მასალის შესანახად და მათი ტრანსპორტირებისათვის;

— კონტროლს უწევენ, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, სანერგე მეურნეობები, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციები იცავდნენ თესლისა და სარგავი მასალის სახელმწიფო სტანდარტებს, ასრულებდნენ თესლის დასათესად და სარგავი მასალის დასარგავად მომზადების ღონისძიებებს, მათი დოკუმენტირებისა და შენახვის, აგრეთვე თესლეულისა და სარგავი მასალის ნიმუშების აღების წესებს; იღებენ ზომებს, რომ ჩამოერთვათ მეურნეობებსა და ორგანიზაციებს არასწორად აღებული ნიმუშების საფუძველზე გაცემული დოკუმენტები;

— სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს იმ პირთა და რწმუნებულთა სიებს, ვისაც უფლება აქვს აიღოს თესლისა და სარგავი მასალის, აგრეთვე საარბიტრაჟო ნიმუშები; უტარებენ ინსტრუქტაჟს თესლისა და სარგავი მასალის საშუალო ნიმუშების ასაღებად დაშვებულ პირებს;

— ინსტრუქტაჟს უტარებენ მეურნეობების, ორგანიზაციების აგრონომებს სათესლე კარტოფილის ტუბერების ანალიზის მეთოდისა და ტექნიკაში და კონტროლს უწევენ მისი შესრულების სიზუსტეს;



— მონაწილეობენ საარბიტრაჟო ანალიზისათვის განკუთვნილი და სარგავი მასალის, აგრეთვე იმპორტული და საექსპორტო თესლისა და სარგავი მასალის პარტიებიდან ნიმუშების ამღები კომისიების მუშაობაში;

— იღებენ საშუალო ნიმუშებს თესლის თესვითი ხარისხის ანალიზისათვის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;

— დადგენილ ვადებში წარადგენენ თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის ანგარიშებს;

— კონტროლს უწევენ, თუ როგორ ხორციელდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯიშაინი ნათესების აპრობაცია და დოკუმენტაციის შედგენა;

— პრობაგანდას უწევენ და ნერგავენ თესლის თესვითი ღირსების გაუმჯობესების მოწინავე მეთოდებს;

25. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების (რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული და საქალაქო) განკარგულებაშია კუთხის შტამპი და ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

89 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 951 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 951 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 თებერვლის № 223 დადგენილება „სამომხმარებლო საზოგადოებებსა და რაისამომხმარებლო კავშირებში ანგარიშგებისა და არჩევნების ჩატარების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 951 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ნოემბრის № 653 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 666 დადგენილებით დამტკიცებული იმ ცვლილებებისა და დამატებე-

ბის 32-ე პუნქტი, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებში მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოებასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 28 დეკემბერი, № 895

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6. 1981 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-82 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆,
საბეჭდი თაბახი 6,25, სააღრიცხვო თაბახი 6,25

628/104